



ევროკავშირი  
საქართველოსთვის



# სატბურის გაზების ინვენტარიზაციის ეროვნული სისტემის შემუშავება/გაძლიერება —

საქართველოში მინათსარგებლობის,  
მინათსარგებლობაში ცვლილებებისა და სათყეო  
მეურნეობის (LULUCF) საქტორის მონიტორინგის,  
ანგარიშგებისა და ვერიფიკაციის კონცეპტუალური ჩარჩო

MRV LULUCF საქართველო

შეფასების ანგარიში





# ევროკავშირი საქართველოსთვის



## სათბურის გაზების ინვენტარიზაციის ეროვნული სისტემის შემუშავება/გაძლიერება —

საქართველოში მინათსარგებლობის, მინათსარგებლობაში ცვლილებებისა და სატყეო მეურნეობის (LULUCF) სექტორის მონიტორინგის, ანგარიშგებისა და ვერიფიკაციის კონცეპტუალური ჩარჩო

**MRV LULUCF საქართველო**

შეფასების ანგარიში

მინათსარგებლობის, მინათსარგებლობაში ცვლილებებისა და სატყეო მეურნეობის (LULUCF) სექტორთან მიმართებაში მონიტორინგის, ანგარიშგებისა და ვერიფიკაციის (MRV) არსებული ეროვნული სისტემისა და კლიმატის ცვლილების სფეროში ეროვნული პოლიტიკის და მარეგულირებელი ჩარჩოების შეფასების ყოვლისმომცველი ანგარიში

ნოემბერი, 2022 წ.

### ავტორები

ტექსტის შექმნაში მონაწილეობდნენ	სახელი	ორგანიზაცია
	ეთიენ მათიასი	Citepa
	კოლა რობერი	Citepa
	მათიო ვემერი	Avocat à la cour

გადამოწმება	სახელი	თარიღი
შემოწმება	ეთიენ მათიასი	20/11/2022
დადასტურება	ჟერომ ბუტანი	20/11/2022

ეს პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ავტორი და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის და გაეროს განვითარების პროგრამის შეხედულებებს.

# ს ა რ ჩ ე ვ ი

<b>1. პროექტი EU4CLIMATE</b>	6
<b>2. დავალების მიზნები LULUCF-ისთვის</b>	7
<b>3. მონიტორინგის, ანგარიშგებისა და ვერიფიკაციის (MRV) ზოგადი ძირითადი ელემენტები ეროვნულ და LULUCF-ის MRV სისტემებისთვის</b>	8
<b>3.1. MRV-ის ელემენტები გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის (UNFCCC) მოთხოვნების ფარგლებში</b>	8
<b>3.2. Key MRV elements under the Paris Agreement</b>	10
<b>3.3. MRV-ს ძირითადი ელემენტები კიოტოს პროტოკოლის შესაბამისად</b>	12
<b>3.4. MRV-ს ძირითადი ელემენტები ევროკავშირის LULUCF-ის რეგულაციების მიხედვით</b>	14
<b>4. ეროვნული MRV სისტემის და LULUCF-ის MRV სისტემის აღწერა და შეფასება</b>	15
<b>4.1. არსებული სამართლებრივი და ინსტიტუციური ბაზის აღწერა</b>	15
<b>4.1.1. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (MEPA)</b>	15
<b>4.1.2. გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი (EIEC)</b>	19
<b>4.1.3. კლიმატის ცვლილების საბჭო (CCC):</b>	20
<b>4.1.4. მიწის მონიტორინგი</b>	21
<b>4.1.5. LULUCF-ის სატყეო კატეგორია</b>	22
<b>4.1.6. LULUCF -ის არასატყეო მიწების კატეგორია</b>	25
<b>4.1.7. სხვა ინსტიტუტები, რომლებიც მნიშვნელოვანია ძლიერი MRV-ს სისტემის განვითარებისთვის</b>	28

<b>4.2. არსებული სამართლებრივი და ინსტიტუციური ბაზის შეფასება</b>	29
<b>4.2.1. ორგანიზაციული მანდატი</b>	30
<b>4.2.2. ექსპერტიზა</b>	33
<b>4.2.3. მონაცემთა ნაკადები</b>	35
<b>4.2.4. კოორდინაცია, სისტემები და ინსტრუმენტები</b>	37
<b>4.2.5. დაინტერესებული მხარეების ჩართულობა</b>	40
<b>4.2.6. ინსტიტუციური მოწყობის სტრუქტურირება</b>	41
<b>4.3. LULUCF-ის GHG-ს ინვენტარიზაციის კონკრეტულად მიმდინარე მონაცემთა ნაკადების შეფასება</b>	42
<b>4.3.1. მიწის მონიტორინგი</b>	42
<b>4.3.2. ტყის მონიტორინგი</b>	46
<b>4.3.3. ხე-ტყის მონიტორინგი</b>	47
<b>4.3.4. მკვდარი ორგანული ნივთიერებების მონიტორინგი</b>	48
<b>4.3.5. ნიადაგის მონიტორინგი</b>	48
<b>4.3.6. სასოფლო-სამეურნეო მიწის მონიტორინგი</b>	49
<b>4.3.7. ქარბტენიანი მიწების მონიტორინგი</b>	50
<b>4.3.8. ხანძრების მონიტორინგი</b>	50
<b>5. მოკლე მიმოხილვა</b>	52
დანართი პარიჯის შეთანხმებაზე	55

# 1.

## პროექტი EU4CLIMATE

პროექტი „ევროკავშირი კლიმატისთვის“ (EU4Climate) ეხმარება ევროკავშირის ექვსი აღმოსავლეთ პარტნიორი ქვეყნის - სომხეთის, აზერბაიჯანის, ბელორუსიის, საქართველოს, მოლდოვას რესპუბლიკისა და უკრაინის მთავრობებს, მიიღონ ზომები კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ. იგი ხელს უწყობს ამ ქვეყნებს პარიზის კლიმატის შეთანხმების განხორციელებაში და კლიმატის პოლიტიკისა და კანონმდებლობის გაუმჯობესებაში. მისი მიზანია, შეზღუდოს კლიმატის ცვლილების გავლენა მოქალაქეების ცხოვრებაზე და გაზარდოს მათი მედეგობა მის მიმართ. პროექტს EU4Climate აფინანსებს ევროკავშირი და მას გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) ახორციელებს.

პროექტის მიზანია მხარი დაუჭიროს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მიერ კლიმატთან დაკავშირებული პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებას, რაც ხელს უწყობს მათ დაბალი ემისიების მქონე და კლიმატის ცვლილების მიმართ მდგრად განვითარებას და მათ მიერ კლიმატის ცვლილების შესახებ პარიზის შეთანხმებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებას. იგი განსაზღვრავს პარიზის შეთანხმების, „20 შედეგი 2020 წლისთვის“ და გაეროს 2030 წლის მდგრადი განვითარების დღის წესრიგით დასახული ძირითადი გლობალური პოლიტიკის მიზნების შესაბამის ძირითად ქმედებებსა და მოსალოდნელ შედეგებს. პროექტი ასევე აისახება სამოქმედო პრიორიტეტებზე, რომლებიც განსაზღვრულია 2016 წლის ოქტომბრის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მინისტრთა დეკლარაციით გარემოსა და კლიმატის ცვლილების შესახებ.

პროექტის მიზანია წვლილი შეიტანოს კლიმატის ცვლილების შერბილებაში და მის მიმართ ადაპტაციაში და დაბალემისიებიანი და კლიმატისადმი მდგრადი ეკონომიკის განვითარებაში პარიზის შეთანხმების შესაბამისად.

## 2.

## დავალების მიზნები LULUCF-ისთვის

ამ დავალების მიზანია შეიმუშაოს საქართველოში მინათსარგებლობის, მინათსარგებლობაში ცვლილებებისა და სატყეო მეურნეობის (LULUCF) სექტორთან დაკავშირებული მონიტორინგის, ანგარიშგებისა და ვერიფიკაციის (MRV) ქვეყნისათვის ყველაზე შესაფერისი კონცეპტუალური ჩარჩო.

ის დაუპირისპირდება არსებულ ეროვნულ სათბურის გაზების ინვენტარიზაციის სისტემას, გაითვალისწინებს რა ისეთ შესაბამის საერთაშორისო მოთხოვნებს, როგორცაა LULUCF-ზე ანგარიშგების მეთოდოლოგიური ჩარჩო, როგორც ეს განსაზღვრულია შესაბამისი კლიმატის ცვლილების სამთავრობათშორისო ექსპერტთა ჯგუფის (IPCC) სახელმძღვანელო პრინციპებით, საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებებით LULUCF-ს სათბურის გაზების ანგარიშგების შესახებ, რომლებიც განსაზღვრულია გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციით (UNFCCC), პარიზის შეთანხმებით და მასთან დაკავშირებული გადანაცვლებებით, მინათსარგებლობის, მინათსარგებლობაში ცვლილებებისა და სატყეო მეურნეობის სფეროში საქმიანობისა და ემისიის გამომწვევი ფაქტორების ამსახველ არსებულ ეროვნულ სამართლებრივ და ინსტიტუციურ სისტემებით და შესაძლებლობებით, და ასევე სამომავლო საჭიროებებით, რომლებიც დაკავშირებულია ამ ამოსავალი მონაცემების მონიტორინგთან და LULUCF-ზე ანგარიშგების ეროვნულ სისტემასთან.

დავალების საერთო მიზანია დაეხმაროს გაეროს განვითარების პროგრამას და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს (MEPA) მონიტორინგის გადამონმებისა და ანგარიშგების ძლიერი სისტემის შემუშავებაში UNFCCC-ისა და პარიზის შეთანხმების მოთხოვნების შესრულებასთან დაკავშირებულ ყველა სექტორში.

# 3.

## მონიტორინგის, ანგარიშგებისა და ვერიფიკაციის (MRV) ზოგადი ძირითადი ელემენტები ეროვნულ და LULUCF-ის MRV სისტემებისთვის

### 3.1. MRV-ის ელემენტები გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის (UNFCCC) მოთხოვნების ფარგლებში

UNFCCC-ის (გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჩარჩო კონვენცია კლიმატის ცვლილების შესახებ, შემდგომში „კონვენცია“) მოთხოვნების ფარგლებში MRV-ის ინსტიტუციური ჩარჩოები ხელმომწერი განვითარებადი ქვეყნებისათვის რამდენიმე ელემენტისგან შედგება, რომლებიც ეტაპობრივად ამოქმედდა UNFCCC-ის მხარეთა კონფერენციის (COP) მიერ 2004-2013 წლების განმავლობაში მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე.

COP 13-ზე, ბალის სამოქმედო გეგმის მეშვეობით, მხარეები შეთანხმდნენ მონიტორინგის, ანგარიშგებისა და ვერიფიკაციის (MRV) გამოყენების პრინციპზე იმ მხარეებისათვის, რომლებიც განვითარებადი ქვეყნები არიან. ამან შემდგომში საფუძველი ჩაუყარა ამჟამად არსებულ ყოვლისმომცველი მონიტორინგის, ანგარიშგებისა და ვერიფიკაციის (MRV) ინსტიტუციური ჩარჩოების შემუშავებას მხარეებისათვის, რომლებიც განვითარებადი ქვეყნები არიან (იხ. ქვემოთ მოყვანილი სურათი).


მონიტორინგი, ანგარიშგება და ვერიფიკაცია (MRV) საერთაშორისო დონეზე ხორციელდება, მაგრამ ის ასევე შეიძლება ნებაყოფლობით ეროვნულ დონეზე ხორციელდებოდეს:

- **მონიტორინგი (M)** დანართი I-ის არანევრი მხარეებისთვის გამოიყენება როგორც კლიმატის ცვლილების საწინააღმდეგო ძალისხმევების, ასევე ამ ძალისხმევების ზემოქმედების დასადგენად, წყაროების მიხედვით სათბურის გაზების ემისიებისა და შთანთქმის დონეების განსაზღვრის, ემისიების შემცირებისა და თანმხლები სარგებლის ჩათვლით. ასეთი აზომვები ეროვნულ დონეზე ხორციელდება. თავდაპირველად, ისინი გულისხმობდა წყაროების მიხედვით სათბურის გაზების ემისიებისა და შთანთქმის გაზომვას სათბურის გაზების ეროვნული ინვენტარიზაციის საშუალებით, რაც ეროვნულ ანგარიშგების დოკუმენტებში აისახებოდა. COP 16 და 17-ზე მიღებულ გადაწყვეტილებებზე დაყრდნობით, დანართი I-ის არანევრმა მხარეებმა ასევე უნდა გაზომონ კლიმატის ცვლილების შემარბილებელი ეროვნული მოქმედებების კონკრეტული ეფექტი, ასევე საჭირო და მიღებული მხარდაჭერა და წარმოადგინონ ეს ინფორმაცია, ეროვნული ინვენტარიზაციის ანგარიშის ჩათვლით, მათი ორწლიური განახლებული ანგარიშებში (BUR);



- **ანგარიშგება (R)** დანართი I-ის არაწევრი მხარეებისთვის ხორციელდება ეროვნული კომუნიკაციებისა და BUR-ების მეშვეობით (იხ. განყოფილებები ქვემოთ).
- **ვერიფიკაცია (V)** ხორციელდება საერთაშორისო დონეზე BUR-ებთან დაკავშირებული საერთაშორისო კონსულტაციებისა და ანალიზის (ICA) მეშვეობით (იხ. ნაწილი BUR-ების შესახებ ქვემოთ). ეროვნული საანგარიშგებო კომუნიკაციები საერთაშორისო კონსულტაციებისა და ანალიზის არ ექვემდებარება.


**სურ. 1:** MRV-ის ჩარჩოების ძირითადი ელემენტები (წყარო: UNFCCC, 2014 წ.)



### 3.2. KEY MRV ELEMENTS UNDER THE PARIS AGREEMENT

კლიმატის ცვლილების საფრთხეზე გლობალური რეაგირების გაძლიერების მიზნით, მხარეებმა 2015 წელს პარიზის შეთანხმება მიიღეს. კონვენციის განხორციელების გაძლიერების მიზნით, პარიზის შეთანხმების ერთ-ერთი მთავარი მიზანი, როგორც ეს მის მე-2 მუხლშია მოცემული, არის წინაინდუსტრიულ დონესთან შედარებით გლობალური ტემპერატურის ზრდის საშუალო მაჩვენებლის 2°C-მდე (3.6°F) შენარჩუნება, და ძალისხმევების გაგრძელება იმისათვის, რომ წინაინდუსტრიულ დონესთან შედარებით გლობალური ტემპერატურის ზრდამ 1.5°C-ს არ გადააჭარბოს, რათა მნიშვნელოვნად შემცირდეს კლიმატის ცვლილების რისკები. პარიზის შეთანხმებაში ჩადებულ მიზნებში ასევე გათვალისწინებულია ქვეყნების შესაძლებლობების გაზრდა კლიმატის ცვლილების უარყოფით ზემოქმედებაზე ადაპტირებისა და სათბურის გაზების დაბალი ემისიის შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობის მიმართულებით და ქვეყნებში ფინანსური ნაკადების შემოდინების ამ ცვლილებებზე მიზმა.

**სურ. 2:** საერთაშორისო კონსულტაციებისა და ანალიზის პროცესის ძირითადი ელემენტები (წყარო: 2020-2 UNFCCC)



ტემპერატურასთან დაკავშირებული ამ გრძელვადიანი მიზნის მისაღწევად, ქვეყნები მიზნად ისახავენ მიაღწიონ სათბურის გაზების ემისიების გლობალურ პიკს რაც შეიძლება მალე, რათა საუკუნის შუა პერიოდისათვის კლიმატის მიმართ ნეიტრალური სამყაროს ჩამოყალიბება მოხერხდეს.

პარიზის შეთანხმების განხორციელება საუკეთესო არსებულ მეცნიერულ ცოდნაზე დაფუძნებულ ეკონომიკურ და სოციალურ ტრანსფორმაციას მო-

ითხოვს. პარიზის შეთანხმება ანყობილია ქვეყნების მიერ განხორციელებულ, კლიმატის ცვლილების საწინააღმდეგო სულ უფრო და უფრო ამბიციურ ძალისხმევების 5-წლიან ციკლებზე. ამის გათვალისწინებით, პარიზის შეთანხმება ადგენს სავალდებულო ვალდებულებას ყველა მხარისთვის მოამზადონ, გაავრცელონ და შეინარჩუნონ **ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილი (NDC)** და განახორციელონ შიდა შემარბილებელი ზომები თავიანთი NDC-ების შესაბამისი მიზნების მისაღწევად. ასევე საჭიროა, რომ მხარეებმა ყოველ ხუთ წელიწადში გაასაჯაროონ თავიანთი NDC-ები და წარმოადგინონ ამ საკითხის სიციხადისთვის, გამჭვირვალობისა და მისი გაგებისთვის საჭირო შესაბამისი ინფორმაცია.

გრძელვადიანი მიზნის მისაღწევად საჭირო ძალისხმევების უკეთ ჩამოყალიბების მიზნით, პარიზის შეთანხმება ასევე სთხოვს ქვეყნებს ჩამოაყალიბონ და წარადგინონ **2020 წლისთვის სათბურის გაზების დაბალემისიებიანი განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიები (LT-LEDS)**. LT-LEDS-ები უზრუნველყოფენ გრძელვადიან სამიზნე ორიენტირებს NDC-ებისთვის. NDC-ებისგან განსხვავებით, ისინი სავალდებულო არ არის. მიუხედავად ამისა, ისინი ათავსებენ NDC-ებს ქვეყნების გრძელვადიანი დაგეგმვისა და განვითარების პრიორიტეტების კონტექსტში, უზრუნველყოფენ რა მომავალი განვითარების ხედვასა და მიმართულებას.

გარდა ამისა, პარიზის შეთანხმება მე-13 მუხლის მეშვეობით ადგენს **გაძლიერებულ გამჭვირვალობის ჩარჩოს (ETF)**, რომელიც შექმნილია ნდობის ასამაღლებელი და ეფექტური განხორციელების ხელშემწყობი მოქმედებებისა და მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად.


ETF-ის მეშვეობით შეგროვებული ინფორმაცია შედეგების გლობალური შეფასებისათვის იქნება გამოყენებული, რომლის დროსაც შეფასდება ერთობლივი პროგრესი გრძელვადიანი კლიმატის მიზნების მიღწევის გზაზე. შემდგომში, ამის საფუძველზე შემუშავდება რეკომენდაციების ქვეყნებისთვის, რათა მომდევნო რაუნდში მათ ამბიციური გეგმების დასახვა შეძლონ.

პარიზის შეთანხმება კლიმატის ცვლილების მრავალმხრივი პროცესის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ეტაპს წარმოადგენს, რადგანაც პირველად ისტორიაში, სავალდებულო შეთანხმებამ ყველა ქვეყანა გააერთიანა საერთო საქმის გარშემო: განახორციელონ ამბიციური ძალისხმევა კლიმატის ცვლილებასთან საბრძოლველად და მის ზეგავლენასთან ადაპტირებისათვის.

გადაწყვეტილება 18/CMA.1 მკაფიოდ განსაზღვრავს სათბურის გაზების ემისიების ინვენტარიზაციის წესებს.

ყველა მხარემ უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია მათთან ანთროპოგენური სათბურის გაზების წყაროების მიხედვით ემისიებისა და შთანთქმის დონის შესახებ ეროვნული ინვენტარიზაციის ანგარიშის სახით, რომელიც შედგება ეროვნულ დონეზე ინვენტარიზაციის დოკუმენტისგან (NID) და ზოგადი საანგარიშგებო ცხრილებისგან (CRT).

**სურ. 3:** პარიზის შეთანხმების მე-13 მუხლით დადგენილი გაკლიერებული გამჭვირვალობის ჩარჩო მოქმედებებისა და მხარდაჭერისათვის (წყარო: 2020-1 UNFCCC)



მხარეს შეუძლია წარადგინოს თავისი სათბურის გაზების ინვენტარიზაციის ეროვნული ანგარიში, როგორც ცალკე ანგარიში, ან როგორც BTR-ის ნაწილი. თუ ის გამოქვეყნდება, როგორც დამოუკიდებელი ანგარიში, მასში მოცემული სათბურის გაზების ემისიებისა და შთანთქმების შეჭამება მაინც უნდა იყოს შეტანილი BTR-შიც, როგორც იმ ინფორმაციის ნაწილი, რომელიც აუცილებელია მისი NDC-ის განხორციელებისა და დასახულ მიზნებთან მიმართებაში მიღწეული წინსვლის გამოსავლენად.

### 3.3. MRV-ს ძირითადი ელემენტები კიოტოს პროტოკოლის შესაბამისად

UNFCCC-ისგან განსხვავებით, კიოტოს პროტოკოლმა განსაზღვრა კლიმატის ცვლილების ზეგავლენის შემარბილებელი მიზნები, რომლებსაც იურიდიულად უფრო სავალდებულო ძალა ჰქონდათ. კიოტოს პროტოკოლში ბევრი

დამატებითი მოთხოვნა იყო, განსაკუთრებით LULUCF-ის სფეროში, სადაც აღრიცხვა საქმიანობის მიხედვით უნდა განხორციელებულიყო. იმის გათვალისწინებით, რომ კიოტოს პროტოკოლით განსაზღვრული ვალდებულების შესრულების პერიოდები (2008-2012 და 2013-2020) უკვე დასრულებულია, ამ მოთხოვნების გათვალისწინება აღარ მომხდარა და ისინი არ არის წარმოდგენილი ამ ანგარიშში. თუმცა, ამ მოთხოვნებმა ჩამოაყალიბა ძირითადი კონცეფციებისა და მიდგომების სერია, რომელიც უნდა განიხილებოდეს მხარის მიერ კლიმატის სფეროში განუვლი ძალისხმევის შესაფასებლად მის LULUCF სექტორთან მიმართებაში. ამ კონცეფციებსა და მიდგომებში არსებული განსხვავებები შეიძლება აიხსნას არა მხოლოდ პოლიტიკითა და მენეჯმენტით, არამედ ბუნებრივი მოვლენებითა და ქვეყანაში შესაბამის სფეროში არსებული მემკვიდრეობით. კერძოდ, LULUCF-ის ანგარიშგება კიოტოს პროტოკოლით, როგორც ეს განსაზღვრულია 3.3 და 3.4 მუხლებში, იყენებდა შემდეგ პრინციპებს:

- საქმიანობაზე დაფუძნებული აღრიცხვა (მინით სარგებლობაზე დაფუძნებული აღრიცხვის ნაცვლად);
- ყურადღების გამახვილება გადამწყვეტ აქტივობებზე, როგორცაა ტყეების გაშენება და გაჩეხვა და ტყის მართვა;
- დიფერენცირება გაანგარიშების აბსოლუტურ შედეგებსა და ისეთ აღრიცხვას შორის, რომლის ამოცანებიც შეიძლება „სუფთა-სუფთა“ ან „მთლიანი-სუფთა“ ისტორიული ან პროგნოზირებადი შედეგების შედარების მიდგომაზე იყოს დაფუძნებული;
- კერძოდ, ტყის სექტორიდან შთანთქმის შემთხვევაში, სუფთა (ნეტო) შთანთქმის მონაცემების მისაღებად გამოყენებულ მიდგომას განსაზღვრავდა ხოლმე ისტორიული ან პროგნოზირებული მონაცემები: ტყის მართვის საცნობარო დონე (FMRL) და ამ დონის განსაზღვრა საექსპერტო შეფასების საგანია;
- ბუნებრივი მოვლენების ზეგავლენის შედეგად წარმოქმნილი ემისიების გამორიცხვის შესაძლებლობა.
- ნებაყოფლობითი არჩევანი ანგარიშგებაში ისეთი აქტივობების გათვალისწინება, რომელთა შეფასებები ისეთი ზუსტი არ არის, როგორც ტყის მონიტორინგი შეფასებები: სახნავ-სათესი მიწების და მდელოების მართვა, დატენიანება და ა.შ.

ამ მოთხოვნების დიდი ნაწილი ჯერ კიდევ არსებობს ევროკავშირის LULUCF-ის რეგულაციებში.

### 3.4. MRV-ს ძირითადი ელემენტები ევროკავშირის LULUCF-ის რეგულაციების მიხედვით

იმისათვის, რომ კიოტოს პროტოკოლის ვალდებულების პერიოდის დასრულების შემდეგ, ანუ 2020 წლის შემდეგ, ეარსება იურიდიულად უფრო სავალდებულო სისტემას, ევროკავშირმა შექმნა ახალი სისტემა თავისი წევრი ქვეყნებისთვის, LULUCF-ზე ზემოქმედების შერბილების მათი პოლიტიკის გასაძლიერებლად. ეს სისტემა ძირითადად LULUCF-თან დაკავშირებით კიოტოს პროტოკოლის წესების სულისკვეთების გაგრძელებას წარმოადგენდა. ამ სისტემამ ასევე განსაზღვრა LULUCF სექტორის სუფთა კლიმატ-ნეიტრალურობის მიღწევის მიზანი ევროკავშირის დონეზე. ეს ახალი საანგარიშგებო ჩარჩო აღწერილია LULUCF-ის რეგულაციაში 2018/841. კიოტოს პროტოკოლთან შედარებით:

- მოხდა გარკვეული ცვლილებები მიდგომებში, მაგალითად, მიწათსარგებლობის აღრიცხვის დაბრუნება მსგავსი „საქმიანობების“ შენარჩუნებით;
- ტყისთვის შენარჩუნებულია საცნობარო დონის პრინციპი, ტყის საცნობარო დონე (FRL) კონკრეტული ახალი წესებითა და ვადებით;
- საქმიანობა სახნავ-სათესი მიწებისა და მდელოების მართვის კუთხით სავალდებულო გახდა.

2021 წლის ივლისში, ახალი კლიმატის პაკეტის - „ვარგისია 55-ისთვის“ - ფარგლებში, ევროკომისიამ შემოიტანა წინადადება ამ რეგულაციის განახლების შესახებ, მისი მოთხოვნებისა და ამბიციების გაზრდის მიზნით. კერძოდ, ეს წინადადება გულისხმობს, რომ ყველა მხარე კისრულობს ვალდებულებას, დანერგოს „სივრცობრივად დაზუსტებული“ (ან „გეოგრაფიულად დაზუსტებული“) მიდგომა მიწათსარგებლობის მონიტორინგისთვის, რომელიც შეესაბამება კლიმატის ცვლილების მთავრობათაშორისი პანელის (IPCC) მიდგომა 3-ს, რაც როგორც წესი, გულისხმობს დეტალურ („wall to wall“ – „კედლიდან-კედლამდე“) რუკების შედგენას, მიწის გამოყენებაში დროთა განმავლობაში მომხდარი ცვლილებების გამოსავლენად. ეს შეთავაზება ასევე გულისხმობს სუფთა კლიმატ-ნეიტრალურობის მიზნის განსაზღვრას არა მხოლოდ მიწათსარგებლობის, მიწათსარგებლობაში ცვლილებების და სატყეო მეურნეობის (LULUCF) სექტორისთვის, არამედ მთლიანად სოფლის მეურნეობის, სატყეო მეურნეობისა და სხვა მიწათსარგებლობის (AFOLU) სექტორისთვის. ევროკავშირის მიდგომა AFOLU-ს როლის მიმართ ნახშირბადნეიტრალურობის მიღწევაში და მასთან დაკავშირებული სააღრიცხვო მოთხოვნები, ნამდვილად აქტუალური ჩანს საქართველოსთვის და შეესაბამება ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების ხელშეკრულების დებულებებს.

# 4.

## ეროვნული MRV სისტემის და LULUCF-ის MRV სისტემის აღწერა და შეფასება

### 4.1. არსებული სამართლებრივი და ინსტიტუციური ბაზის აღწერა

წინასწარი შენიშვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში კლიმატის ცვლილება განიხილება როგორც გარემოსდაცვითი საკითხი.

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად (მუხლი 29.2) ბუნებრივი რესურსების დაცვა და რაციონალური გამოყენება უზრუნველყოფილია კანონით. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს მოვალეობაა მიიღოს შესაბამისი ზომები, რათა უზრუნველყოს პირობები ყველასათვის, რომ იცხოვრონ ჯანსაღ გარემოში და დროულად მიიღონ სრული ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ კონსტიტუციის 29.1 მუხლის შესაბამისად.

1996 წლის შესწორებებით, გარემოს დაცვის შესახებ კანონის 51.3 მუხლი იძლევა სამართლებრივ საფუძველს დედამიწის კლიმატის დასაცავად კონკრეტული წესების მისაღებად, მათ შორის სათბურის გაზების ემისიის სტანდარტებისა და/ან ზღვრების დაწესების, როგორც ინტეგრირებული პრევენციისა და დაბინძურების კონტროლის სისტემის ნაწილის (1996 წლის გარემოს დაცვის შესახებ შესწორებული კანონის 51.1 და 51.2 მუხლები).

მთავრობაში, სახელმწიფოს აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოში (კონსტიტუციის 54.1 მუხლი), საქართველოში კლიმატის ცვლილების პოლიტიკისა და ღონისძიებების შემუშავებასა და განხორციელებაზე პასუხისმგებელია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (MEPA).

MEPA არის საკვანძო სამინისტრო გარემოსა და კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული მონიტორინგის, ანგარიშგებისა და ვერიფიკაციის (MRV) მოთხოვნების დადგენისა და განხორციელებისთვის, მათ შორის MRV-სი LULUCF სექტორში მოქმედებებისა და სათბურის გაზების ემისიებისათვის. მაგრამ არსებობს ასევე რიგი სხვა ინსტიტუტები, რომლებიც შეიძლება ჩაერთონ კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ მოქმედებებისა და სათბურის გაზების ემისიების MRV-ში საქართველოში.

#### 4.1.1. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (MEPA)

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში (MEPA) კლიმატის ცვლილების პოლიტიკაზე პასუხისმგებლობა გარემოს დაცვისა და კლიმატის ცვლილების დეპარტამენტს (DECC) ეკისრება.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 6 მარტის №112 „საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ დადგენილების თანახმად, DECC შეასრულებს მთელ რიგ ამოცანებს. მათ შორისაა შემდეგი ამოცანები, რომლებიც რელევანტურია სათბურის გაზების ემისიებისა და კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ მოქმედებისთვის ყველა სექტორში:

- კლიმატის ცვლილების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში მონაწილეობა;
- გარემოსდაცვითი მონიტორინგის სახელმწიფო სისტემის ორგანიზებაში მონაწილეობა;
- ჰაერის, ოზონის შრის და წყლის რესურსების ბუნებრივი ან ანთროპოგენური ფაქტორების ზემოქმედებისგან დაცვის მექანიზმების განსაზღვრა და მათი კოორდინაცია;
- მრავალმხრივი გარემოსდაცვითი შეთანხმებების (კონვენციები, მათი პროტოკოლები და შეთანხმებები) და პროცესების განხორციელების კოორდინაცია, მათ შორის კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით;
- გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული ანგარიშის მომზადების კოორდინაცია და ორგანიზება.

DECC-ს სისტემაში კლიმატის ცვლილების სამმართველოს ევალება კოორდინაცია გაუწიოს საქართველოს ოფიციალური დოკუმენტებისა და ანგარიშების მომზადებას, რომლებიც წარედგინება UNFCCC-ს (ესენია ეროვნული კომუნიკაციები (NatCom) და ორწლიური განახლებული ანგარიშები (BUR) დანართ I-ის არანევრი მხარეებისაგან) და პარიზის შეთანხმების ფარგლებში (ორწლიური გამჭვირვალობის ანგარიში (BTR)), სათბურის გაზების ემისიის ეროვნული ინვენტარიზაციის ანგარიშის (NIR) ჩათვლით.


*თუმცა, ამ ანგარიშის შექმნის დროისათვის საქართველოში არ არსებობს სამართლებრივი ბაზა, რომელიც განსაზღვრავს წესებს, მოდალობებსა და პროცედურებს გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის მხარეთა კონფერენციის (COP) / პარიზის შეთანხმების მხარეთა კონფერენციის (CMA) მონიტორინგის, ანგარიშებისა და ვერიფიკაციის (MRV) თაობაზე და /ან UNFCCC-ის ან პარიზის შეთანხმების ფარგლებში, კერძოდ მისი „განხორციელების სახელმძღვანელოში“ განსაზღვრული, გაძლიერებული გამჭვირვალობის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებების განხორციელებისათვის.*

DECC-ს სისტემაში კლიმატის ცვლილების სამმართველოს ევალება კოორდინაცია გაუწიოს საქართველოს ოფიციალური დოკუმენტებისა და ანგარიშების მომზადებას, რომლებიც წარედგინება UNFCCC-ს (ესენია ეროვნული კომუნიკაციები (NatCom) და ორწლიური განახლებული ანგარიშები (BUR) დანართ I-ის არანევრი მხარეებისაგან) და პარიზის შეთანხმების ფარგლებში (ორწლიური გამჭვირვალობის ანგარიში (BTR)), სათბურის გაზების ემისიის ეროვნული ინვენტარიზაციის ანგარიშის (NIR) ჩათვლით.



თუმცა, ამ ანგარიშის შექმნის დროისათვის საქართველოში არ არსებობს სამართლებრივი ბაზა, რომელიც განსაზღვრავს წესებს, მოდალობებსა და პროცედურებს გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის მხარეთა კონფერენციის (COP) / პარიზის შეთანხმების მხარეთა კონფერენციის (CMA) მონიტორინგის, ანგარიშგებისა და ვერიფიკაციის (MRV) თაობაზე და /ან UNFCCC-ის ან პარიზის შეთანხმების ფარგლებში, კერძოდ მისი „განხორციელების სახელმძღვანელოში“ განსაზღვრული, გაძლიერებული გამჭვირვალობის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებების განხორციელებისათვის.

**სურ. 4: ინსტიტუციური ჩარჩო, რომორც ის წარმოდგენილია უკანასკნელ NIR-ში**



აღსანიშნავია, რომ UNFCCC-ისათვის სათბურის გაზების ემისიების ეროვნული ინვენტარიზაციის (1990 – 2017 წწ.) უკანასკნელი ანგარიში (NIR) საერთაშორისო თანამშრომლობის პროექტის მეშვეობით განხორციელდა და 2021 წელს გამოქვეყნდა. იგი შემუშავდა MEPA-ს მიერ გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის (GEF) დაფინანსებით და UNDP-საქართველოს მხარდაჭერით, რომელიც მოქმედებს როგორც განმახორციელებელი სააგენტო, პროექტის „საქართველოს მეორე ორწლიური განახლებულის ანგარიშისა და UNFCCC-ის მეოთხე ეროვნული კომუნიკაციის შემუშავება“ ფარგლებში. MEPA-ს კლიმატის ცვლილების სამმართველო ხელმძღვანელობდა და კოორდინაციას უწევდა NIR-ს, რომელიც შემუშავდა გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის (EIEC) მიერ დამოუკიდებელი საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტების დახმარებით. NIR-ის მიხედვით (ნაწილი 1.1.2) პროექტის პარტნიორების მიერ შეიქმნა აღმასრულებელი საბჭო, რომლის ამოცანაა თვალყური ადევნოს მის განვითარებას (სამუშაო გეგმისა და ბიუჯეტის განხილვას და წარდგენას) და გააკონტროლოს მისი ხარისხი.

გარდა DECC-ისა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს MEPA-ს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის (DES) მნიშვნელოვანი პრეროგატივები, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების სფეროში სახელმწიფო კონტროლის განხორციელების კუთხით, ძირითადად ინსპექტირებისა და ექსპერტიზის გზით (1996 წლის გარემოს დაცვის შესახებ შესწორებული კანონის 57-ე მუხლი). რაც შეეხება ტყის მართვაზე სახელმწიფო კონტროლს, DES-ს ამ სფეროში მხარს უჭერენ MEPA-ს დაქვემდებარებული სპეციალიზებული სააგენტოები, კერძოდ, ეროვნული სატყეო სააგენტო და დაცული ტერიტორიების სააგენტო (საქართველოს მთავრობის №112 დადგენილების მე-7 და მე-8 მუხლები, 2018 წლის 6 მარტი), რომელთა შესაბამისი ფუნქციები განხილულია ქვემოთ, მე-4 ნაწილში.

და ბოლოს, გარემოს ეროვნულ სააგენტოს (<http://nea.gov.ge/>), რომელიც MEPA-ს სისტემაში 2008 წელს შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირია (სსიპ), ევალება განახორციელოს გარემოს მონიტორინგი, მათ შორის ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების და კლიმატის ცვლილების ზემოქმედების. სააგენტოს საქმიანობის სფერო, სხვა საკითხებთან ერთად, მოიცავს გარემოსდაცვითი მონიტორინგის სისტემების შემუშავებას და შენარჩუნებას, გარემოსდაცვითი მონიტორინგის მონაცემებისა და ინფორმაციის გავრცელებას და მეტეოროლოგიური სერვისების უზრუნველყოფას. თავისი კომპეტენციის ფარგლებში, NEA აწარმოებს მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი პროგნოზებს და იძლევა გაფრთხილებებს მოსალოდნელ ექსტრემალურ ბუნებრივ მოვლენებთან დაკავშირებით და ამ ინფორმაციას აწვდის ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას და მასშედიას. ის ასევე აკონტროლებს უარყოფით ჰიდრომეტეოროლოგიურ და გეოლოგიურ მოვლენებს (ზვავი, სეტყვა, ნისლი,

ნალექის ნაკლებობა, ეროზიული/აბრაზიული პროცესები, მეწყერი, ღვარცოფი, ქვათაცვენა და სხვა) და კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ფიზიკური პროცესების შესწავლა. ამ ცოდნითა და გამოცდილებით გარემოს დაცვის სააგენტო მონაწილეობს შემარბილებელი და ადაპტაციის პოლიტიკისა და ზომების შემუშავებაში. თუმცა, როგორც ჩანს, NEA უშუალოდ არ არის ჩართული საქართველოში სათბურის გაზების მონიტორინგის, ანგარიშგებისა და ვერიფიკაციის (MRV) სისტემაში.

#### 4.1.2. გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი (EIEC)

გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი (EIEC) (<http://eiec.gov.ge/>) არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ) MEPA-ს სისტემაში. თავდაპირველად, EIEC შეიქმნა 2006 წელს, როგორც ეუთოსა და იმდროინდელ „გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს“ ერთობლივი ინიციატივა საქართველოში ორჰუსის ცენტრის შექმნის მიზნით, რომლის ამოცანა ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადანაცვების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის თაობაზე ევროპისთვის გაეროს ეკონომიკური კომისიის (UNECE) ორჰუსის კონვენციის განხორციელებას ხელშეწყობა იყო. ორჰუსის ცენტრის ინსტიტუციონალიზაციის მიზნით, ის 2013 წელს სსიპ-ად გადაკეთდა. დღესაც, EIEC-ის ყოველდღიური მუშაობა ორჰუსის კონვენციის პრინციპებით ხელმძღვანელობს.

EIEC-ის ძირითადი ამოცანები, რომლებიც კავშირშია სათბურის გაზების მონიტორინგის, ანგარიშგებისა და ვერიფიკაციის (MRV) სისტემასთან, შემდეგია:

- ეკოლოგიური და სასოფლო-სამეურნეო განათლების ხელშეწყობა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლება;
- გადანაცვების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის მხარდაჭერა;
- გარემოსდაცვითი და სასოფლო-სამეურნეო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- MEPA-ს ინტეგრირებული საინფორმაციო ტექნოლოგიების პოლიტიკის დანერგვა და განხორციელება.

გარემოს დაცვის შესახებ 1996 წლის შესწორებული კანონის (განსაკუთრებით მისი 27-ე, „გარემოსდაცვითი ინფორმაციის შესახებ“ მუხლის) განხორციელებაში MEPA-ს მხარდაჭერის პროცესში, EIEC-ის ერთ-ერთი ფუნქციაა გარემოსდაცვითი ინფორმაციის ერთიანი მონაცემთა ბაზის შექმნა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, EIEC-მა კოორდინაცია გაუწია დამოუკიდებელი ექსპერტების მხარდაჭერით უახლესი NIR-ის შემუშავებას გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის (GEF)/ გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პროექტის „საქართველოს მეორე ორწლიური განახლებული ანგარიშისა და UNFCCC-ის მეოთხე ეროვნული კომუნიკაციის შემუშავება“ ფარგლებში. მის დირექტორთან გარკვეული კომუნიკაციის შემდეგ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ EIEC-მა უნდა გააგრძელოს ცენტრალური როლის თამაში ინსტიტუტებისა და დაინტერესებული მხარეების კოორდინაციაში საქართველოს პირველი BRT-ის შემუშავებისა და წარდგენისათვის 2024 წლის ბოლომდე.

### 4.1.3. კლიმატის ცვლილების საბჭო (CCC):

საქართველოს მთავრობის დადგენილებით №54/2020 2021 დაარსდა კლიმატის ცვლილების საბჭო (CCC) და განისაზღვრა მისი შემადგენლობა და მისია. მისი ძირითადი მიზანია პარიზის შეთანხმების ეფექტიანი განხორციელების უზრუნველყოფა. ამ კუთხით, CCC პასუხისმგებელია, სხვა ამოცანებს შორის, განიხილოს MRV სისტემა გაძლიერებული გამჭვირვალობის ჩარჩოს (ETF) ფარგლებში, განახორციელოს პარიზის შეთანხმება საქართველოში და, მისი დამტკიცების შემთხვევაში, მოახდინოს მთავრობის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესის ინიცირება. CCC-მ ასევე უნდა განიხილოს საქართველოს NatCom-ები და BUR-ები და NDC-ების შესრულების ანგარიშები და, მათი დამტკიცების შემთხვევაში, მოახდინოს მთავრობის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესის ინიცირება.

*ამ ანგარიშის შექმნის დროისათვის, როგორც ჩანს, CCC-ს ჯერ არ მოუხდენია პარიზის შეთანხმების ETF-ის ფარგლებში ეროვნული მონიტორინგის, ანგარიშგებისა და ვერიფიკაციის (MRV) სისტემის ჩამოყალიბების წესების, მოდულობისა და პროცედურების მიღების შესახებ მთავრობის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესის ინიცირება.*

გარდა ამისა, CCC-მ უნდა განიხილოს პროექტები, რომლებიც უნდა წარედგინოს მწვანე კლიმატის ფონდს (GCF), კონვენციის ადაპტაციის ფონდს (AF), კლიმატის ტექნოლოგიების ცენტრს და ქსელს (CTCN) და სხვა ფინანსურ ინსტიტუტებს, რომლებიც მუშაობენ კლიმატის ცვლილების საკითხებზე, და პროექტის დამტკიცების შემთხვევაში, უნდა მიმართოს MEPA-ს პროექტების მხარდაჭერის რეკომენდაციით. იმის გათვალისწინებით, რომ CCC ჩამოყალიბდა 2021 წელს, მას არ შეეძლო განეხილა GCF-ის დაფინანსებული პირველი პროექტი სახელწოდებით «ECO.Georgia» (განხორციელებული გერმანიის თანამშრომლობის სააგენტო GIZ-ისა და საქართველოს მთავრობის მიერ), რომელიც მიზნად ისახავს სათბური გაზების შერბილებას, ბუნებასთან ახლოს ტყეების მართვისა და ენერჯო ეფექტურობის გაუმჯობესების გზით შეშაზე მოთხოვნის შემცირებით.

აღსანიშნავია, რომ ECO.Georgia პროექტმა ხელი უნდა შეუწყოს მონაცემთა შეგროვებას, რომელიც სასარგებლოა ტყის ეროვნული ინვენტარიზაციისათ-

ვის (NFI), რომელიც შეიძლება LULUCF სექტორში კლიმატის შემარბილებელი ქმედებების MRV-სთვის რელევანტური იყოს.

საინტერესოა, რომ CCC-ს ასევე შეუძლია შექმნას და დაამტკიცოს რამდენიმე სამუშაო ჯგუფი შესაბამისი ეკონომიკური სექტორებისთვის. საბოლოოდ, ამან შეიძლება ხელი შეუწყოს მონიტორინგის, ანგარიშგებისა და ვერიფიკაციის (MRV) ძალისხმევების კოორდინაციას იმ სექტორებში, რომლებსაც ეხება LULUCF-ს.

#### 4.1.4. მიწის მონიტორინგი

LULUCF-ის კარგი ინვენტარიზაციის საფუძველია მიწათსარგებლობისა და მიწათსარგებლობის ცვლილებების ეფექტური მონიტორინგი. ეს არის საკვანძო და რთული პუნქტი და მკაფიოდ არ არის განსაზღვრული ის ორგანიზაცია, რომელიც სავარაუდოდ განახორციელებს ამ სამუშაოს. ამჟამად ეს მონიტორინგი ხორციელდება გაფანტული მონაცემების საფუძველზე.

როგორც ჩანს, ამჟამად არცერთ ინსტიტუტს არ აქვს უნარები და რესურსები ამ გამოწვევაზე გასამკლავებლად, თუმცა, არსებობს სააგენტო, რომლის ფუნქციაა საქართველოს ტერიტორიის მონიტორინგი და რომელიც, რა თქმა უნდა, შეიძლება ჩართული იყოს და მონაწილეობა მიიღოს ამ სამუშაოში: მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტო (<https://land.gov.ge/En>).

თუმცა, უნდა გვახსოვდეს, რომ IPCC-ის მოლოდინებთან შესაბამისობაში მიწათსარგებლობის მონიტორინგი გარკვეულ შეზღუდვებს, გარკვეულ შეზღუდვებს გულისხმობს; ამდენად, აშკარა არაა, უნდა თუ არ უნდა გააკონტროლოს ამ სააგენტომ ასეთი სამუშაოები; ასევე შეიძლება იყოს შერჩეული სხვა ორგანიზაციები, რომლებიც სოფლის მეურნეობაზე ან ტყის მიწებზე არიან პასუხისმგებელნი.

პროექტის განხორციელების პერიოდში, ამ სააგენტოს როლი კიდევ უფრო განმარტა ბატონმა გიორგი ზაქაიძემ<sup>1</sup>. ეს არის ახალი სააგენტო, რომლის მისიაა მიწის მართვის შესახებ ყველა მონაცემის ცენტრალიზება. ის ძირითადად ყურადღებას ამახვილებს საკადასტრო მონაცემებზე. ქვეყნის ყველა რაიონი სააგენტოს პასუხისმგებლობის ქვეშ არაა, მაგრამ მან უნდა შეაგროვოს ეს ინფორმაცია. ივარაუდება, რომ ეს სააგენტო უნდა იყოს მიწათსარგებლობის შესახებ მონაცემების მიწოდების შესაბამისი ორგანიზაცია. თუმცა, ასევე გამოვლინდა, რომ ეს სააგენტო არ იყო შექმნილი სათბურის გაზების ინვენტარიზაციაში ღრმად ჩართვისთვის და, როგორც ჩანს, ის შეიძლება განიხილებოდეს მხოლოდ როგორც ინვენტარიზაციისათვის მონაცემების მიმწოდებელი და არა როგორც ინვენტარიზაციის განმახორციელებელი.

<sup>1</sup> 20/10/2022 შეხვედრა მიწის სააგენტოს სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის უფროსთან ბატონ გიორგი ზაქაიძესთან.

#### 4.1.5. LULUCF-ის სატყეო კატეგორია

2013 წლიდან მოყოლებული და მისი ეროვნული ტყის კონცეფციის (NFC) დამტკიცების შემდეგ, საქართველომ შეიმუშავა ახალი სამართლებრივი და ინსტიტუციური ჩარჩო სატყეო სექტორისთვის, რომელიც ასახავს ე.წ. „სატყეო სექტორის რეფორმის სტრატეგიას“ (FSRS), რომლის მიზანი იყო რეაგირება ქვეყანაში ტყის მართვის მთავარ გამოწვევებზე (არაადეკვატური საკანონმდებლო ბაზა, სანვავი შეშისა და ხე-ტყით უზრუნველყოფის რეგულაციის არარსებობა, უკანონო წრები, ტყის მართვის დაგეგმვისა და მონიტორინგის არარსებობა, ტყის მართვის სუსტი ინსტიტუტები... და ა.შ.).

საკანონმდებლო კუთხით, შემუშავდა ახალი ტყის კოდექსი, რომელიც აღიარებს ტყის მდგრადი მართვის (SFM) პრინციპებს, რომლებიც ჩამოყალიბებულია ტყის ეროვნულ კონცეფციაში (იხ. ახალი ტყის კოდექსის მე-4 მუხლი).

აღსანიშნავია, რომ ტყის მდგრადი მართვა ახლა განისაზღვრება ძირითადად ტყეების ეკოლოგიურ ფუნქციებთან მიმართებაში ადგილობრივ, ეროვნულ და გლობალურ დონეზე, როგორც ამჟამად, ასევე მომავალში (ტყის კოდექსის 2-ე მუხლი).

SFM-ის შეფასება და ანგარიშგება უნდა განხორციელდეს MEPA-ს რეგულაციებით მიღებული კრიტერიუმებისა და ინდიკატორების საფუძველზე. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ტერიტორიისათვის ტყის სტატუსის მინიჭება ხდება მთავრობის გადაწყვეტილებით, MEPA-ს მიერ მომზადებული შუამდგომლობის საფუძველზე (ახალი ტყის კოდექსის მუხლი 12.1).

მიწათსარგებლობის უფლებებთან დაკავშირებით, ახალი ტყის კოდექსის მე-5 მუხლი ადასტურებს, რომ ტყეზე საკუთრების უფლება განუყოფელია მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლებისაგან, ამასთან, აღიარებულია, რომ ტყე შეიძლება იყოს საჯარო (სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკა, მუნიციპალიტეტები) ან კერძო (ფიზიკური ან იურიდიული) პირის საკუთრება.

ტყეები შეიძლება დაიყოს კატეგორიებად მათი დანიშნულების მიხედვით, განსაკუთრებით იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს „ტყის ნიადაგდაცვითი და (...) კლიმატის მარეგულირებელი ფუნქციების შენარჩუნება და აღდგენა“ (ტყის ახალი კოდექსის მუხლი 6, ბ). ამ კონკრეტული ფუნქციის გათვალისწინებით, ახალი ტყის კოდექსის მე-7 მუხლის მიხედვით ტყეს შეიძლება მიენიჭოს „დაცული ტყის“ სტატუსი. ამ შემთხვევაში, მისი მართვა უნდა მოხდეს მე-8 მუხლის დებულებების შესაბამისად, რომელიც განასხვავებს დაცული ტყეების ორ კატეგორიას, მათ შორის ერთს, რომელსაც ენიჭება დაცული ტერიტორიის სტატუსი, ზედამხედველობს დაცული ტერიტორიების სააგენტო (იხ. ქვემოთ).

რაც შეეხება LULUCF-ის MRV-ს, უნდა აღინიშნოს, რომ ტყის კოდექსით MEPA-ს მინიჭებული აქვს კომპეტენცია მოაწიოს ტყის აღრიცხვის სისტემა, რომელიც მოიცავს ტყეების ეროვნულ აღრიცხვას და ასევე ტყის დაგეგმვას და ინფორმაციისა და მონიტორინგის სისტემას (მუხლი 18.1 დ.) და ახალი ტყის კოდექსის 24.1). სამინისტროს კომპეტენციაშია ასევე ისეთი ზომების მიღება, რომლე-

ბიც საქართველოს ტყის მართვის სფეროში მის მიერ მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულებებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებას საშუალებას აძლევს (ტყის ახალი კოდექსის მე-18 მუხლი). ეს კომპეტენცია მოიცავს პარიზის შეთანხმების საკითხებს, განსაკუთრებით მის მე-5 და მე-13 მუხლებს.

ძლიერი ეროვნული მონიტორინგის, ანგარიშგებისა და ვერიფიკაციის (MRV) სისტემის განვითარებისთვის ყველაზე შესაბამისი დებულებები გათვალისწინებულია 27-ე მუხლით (ტყის საინფორმაციო და მონიტორინგის სისტემა, რომელსაც მართავს სამინისტრო, ტყის მართვის ორგანოებისა და სააგენტოების ინფორმაციის საფუძველზე) და 28-ე მუხლით (ტყის მონიტორინგი ტყეების ეკოლოგიური ფუნქციის დასადგენად, რაც აუცილებლად მოიცავს ნახშირბადის წყაროების და შთანთქმის გაზომვას).

ამ დებულებების საფუძველზე ტყის 1-ლი ინვენტარიზაციის (NFI) მიმდინარე შემუშავების გარდა, ისინი MEPA-ს აძლევენ სამართლებრივ საფუძველს კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ მოქმედებისა და სათბურის გაზების ემისიების MRV-ს წესების, მოდალობის, პროცედურების და მითითებების მისაღებად ტყის სექტორში. ამისთვის საინტერესო იქნებოდა განხილული ყოფილიყო ამგვარი წესების, მოდალობის, პროცედურებისა და სახელმძღვანელო პრინციპების შეტანა „საქართველოს ტყის აღრიცხვის სისტემის, კატეგორიზაციისა და მონიტორინგის წესში“ (იხ. ახალი ტყის კოდექსის მუხლი 28.3) ან მასზე მიბმა.

შესაბამისი სამართლებრივი ასპექტების განხილვის დასასრულებლად, უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნულ ტყის კონცეფციაში გამოიხატა მდგრადი ტყის სერტიფიცირების (როგორცაა ტყის მართვის საბჭო, FSC და/ან ტყის სერტიფიცირების დამტკიცების პროგრამა, PEFC) განვითარების მხარდაჭერის ინტერესი. ეს აისახება ტყის კოდექსში, რომელიც სამინისტროს ანიჭებს კომპეტენციას, ხელი შეუწყოს ნებაყოფლობითი და დამოუკიდებელი სერტიფიცირების სქემის დანერგვას (მუხლი 18.2). თუმცა, როგორც ჩანს, ამ ანგარიშის დაწერის დროისათვის არ არსებობდა საქართველოს სატყეო სტანდარტი სერტიფიცირებისთვის და არც ტყის მართვის უწყების სერტიფიცირება მომხდარა, არც PEFC-ის, არც FSC-ის მიერ.

რაც შეეხება ინსტიტუციურ ჩარჩოს, ახალმა ტყის კოდექსმა უფრო მკაფიოდ გამოყო პოლიტიკის შემუშავების (=> MEPA-ს ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო პოლიტიკის დეპარტამენტი), ზედამხედველობის (=> MEPA-ს DES-ი) და მენეჯმენტის (ე.წ. „ტყის მართვის ორგანოს“, იხ. მუხლი 21, ფაქტობრივად იგუილისხმება ეროვნული სატყეო სააგენტო და დაცული ტერიტორიების სააგენტო) ფუნქციები. სამივე ფუნქციონალური დონე აქტუალურია საქართველოში ძლიერი მონიტორინგის, ანგარიშგებისა და ვერიფიკაციის (MRV) სისტემის დასაწერად.

MEPA-ს ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო მეურნეობის დეპარტამენტი პასუხისმგებელია სატყეო პოლიტიკისა და სტრატეგიის შემუშავებაზე, ასევე

ეროვნულ დონეზე საკანონმდებლო ბაზის შემუშავებაზე, ასევე ტყის სტატუსის მონიტორინგზე და ანგარიშგებაზე ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე.

MEPA-ს DES-ი პასუხისმგებელია ტყის მართვის, ტყის ძრისა და ტრანსპორტირების ოპერაციებზე და ამოღებული ხის პროდუქტებით ვაჭრობასა და მათ ექსპორტზე.

„ტყის მართვის ორგანო“ რეალურად ეროვნული სატყეო სააგენტოა (<http://forestry.gov.ge/>), რომელიც 2010 წელს შეიქმნა MEPA-ს სისტემაში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ტყეების მართვის მიზნით. ტყის ახალი კოდექსის მიღებამდე, ეროვნული სააგენტოს ძირითადი მოქმედებები ეფუძნებოდა 2011 წლის 11 მარტის სატყეო ფონდის მართვის შესახებ საქართველოს კანონის №4419 დებულებას, რომელიც განსაზღვრავს ტყის ფონდს, როგორც „სახელმწიფო ტყის ფონდს, გარდა სახელმწიფო ტყის ფონდის დაცული ტერიტორიებისა, ადგილობრივი მნიშვნელობის ტყისა და აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიებზე არსებული ტყის ფონდებისა“.

საქართველოს ეროვნული სატყეო სააგენტოს დებულების დამტკიცების დღიდან (2016 წლის 26 დეკემბრის ბრძანება №50) ის ჩამოყალიბდა, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ). ეროვნული სატყეო რეფორმის შედეგად, მოხდა ეროვნული სატყეო სააგენტოს რეფორმა და ის გახდა ტყის მართვის ორგანო, რომელიც მუშაობს განსაკუთრებით ტყის მოვლა-პატრონობაზე და ტყის აღდგენაზე და ზრუნავს ტყეში ბიოლოგიური მრავალფეროვნების კომპონენტების მდგრად გამოყენებაზე. იგი პასუხისმგებელია ტყის ფონდის ტერიტორიაზე მონიტორინგსა და კონტროლზე, გარდა სალიცენზიო პირობების დადგენისა. რაც მთავარია, მას ევალება ტყის პირველი ეროვნული ინვენტარიზაციის (NFI) შემუშავება და განხორციელება მომდევნო ათი წლის განმავლობაში.

პროექტის მიმდინარეობისას სააგენტოს როლი კიდევ უფრო განმარტა ქალბატონმა ნათია იორდანიშვილმა<sup>2</sup>. NFI არის ერთ-ერთი მთავარი პროექტი, რომელსაც ხელმძღვანელობს სააგენტო, რაც ადასტურებს მის, როგორც სათბურის გაზების ინვენტარიზაციის მონაცემთა მიმწოდებლის როლს. ვთვლით, რომ სააგენტო ასევე შეიძლება ჩაერთოს საქართველოს სათბურის გაზების ინვენტარიზაციაში, ყოველ შემთხვევაში, იმ ტერიტორიებზე, რომლებიც მის პასუხისმგებლობას ექვემდებარება.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ტყეს შეიძლება მიეცეს დაცული ტყის სტატუსი, რომელიც თავის მხრივ შეიძლება კლასიფიცირდეს დაცულ ტერიტორიად. ამ დაცულ ტყეებთან დაკავშირებული მონაცემების მონიტორინგსა და ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი უნდა იყოს დაცული ტერიტორიების სააგენტო (APA) (<http://apa.gov.ge/en/>). MEPA-ს 2008 წელს დაარსებული APA-ს საერთო მიზანია „დაცული ტერიტორიების მართვის სისტემის გაუმჯობესება, ტერიტორიული ადმინისტრაციების ფუნქციონირების უზრუნველყოფა და კანონ-

<sup>2</sup> 13/10/2022 შეხვედრა ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის მოადგილესთან, ქალბატონ ნათია იორდანიშვილთან.



მდებლობით დადგენილი წესების დაცვაზე კონტროლი, ახალი დაცული ტერიტორიების დაგეგმვა, შექმნა და განვითარება“ (წყარო: APA-ს ვებგვერდი). პროექტის მიმდინარეობის პერიოდში ვერ მოხერხდა შეხვედრის ორგანიზება APA-ს წარმომადგენლებთან, რაც ზღუდავს სათბურის გაზების ინვენტარიზაციაში მისი კონკრეტული როლის განსაზღვრის შესაძლებლობას.

#### 4.1.6. LULUCF -ის არასატყეო მიწების კატეგორია

მიუხედავად იმისა, რომ ტყის ნახშირბადის ემისიები და ამოღება LULUCF-ის ინვენტარიზაციის ძირითადი ყურადღების საგანს წარმოადგენს, არის სხვა საკითხებიც, რომლებიც უნდა მოგვარდეს მონიტორინგის, ანგარიშგებისა და ვერიფიკაციის (MRV) ძლიერი სისტემის მეშვეობით.

უპირველეს ყოვლისა, მიწათსარგებლობისა და მიწათსარგებლობაში ცვლილებების ტერიტორიების შეფასება კრიტიკული ნაბიჯია და მიწის გამოყენებაში ცვლილებების მონიტორინგის ძლიერი მიდგომის შემუშავება ხშირად ქვეყნებისთვის გამოწვევას წარმოადგენს, რადგან შეიძლება არსებობდეს მონაცემთა რამდენიმე ნაკრები და არცერთი მათგანი არ შეესაბამებოდა ყველა მოთხოვნას. (სივრცითი და დროითი დაფარვა, გარჩევადობა, განმარტებების თანამიმდევრულობა, ტყის ისეთ მონაცემებთან შესაბამისობა, როგორცაა NFI და ა.შ.). უფრო მეტიც, ხშირად არ არსებობს ოფიციალური ჩარჩო, რომელიც განსაზღვრავს ერთ წყაროს ინვენტარიზაციის მიზნებისათვის მიწათსარგებლობისა და მიწათსარგებლობაში ცვლილებების ტერიტორიების შესაფასებლად.

LULUCF-ის სხვა კატეგორიებში შედის: სახნავ-სათესი მიწები, მდელოები, ჭაობები, დასახლებები და სხვა მიწა. მონიტორინგის ჩარჩოში, რომელიც საჭიროა ამ კატეგორიების ამსახველი ინფორმაციის ნაკადების შესაფასებლად, მიწათსარგებლობის ტერიტორიების მონიტორინგის გარდა, ძირითადად შედის:

- მინერალურ ნიადაგში ნახშირბადის მარაგის შეფასებები
- ორგანულ ნიადაგში ნახშირბადის მარაგის შეფასებები
- ცოცხალი ბიომასის ნახშირბადის მარაგის შეფასებები
- ნიადაგში ნახშირბადის მარაგის ცვლილება იმ სახნავ-სათეს ტერიტორიებსა და მდელოებზე რომლებიც რჩებიან სახნავ-სათეს ტერიტორიებად და მდელოებად

რამდენიმე ტექნიკური თუ კვლევითი ინსტიტუტი, რა თქმა უნდა, აქტუალურია სოფლის მეურნეობის საკითხებისათვის. ეს ცენტრები შეიძლება გამოყენებულ იქნას ემისიებისა და შთანთქმის გაანგარიშების მეთოდებისა და პარამეტრების დასაზუსტებლად. კერძოდ, შეიძლება დასახელდეს შემდეგი ინსტიტუტები:

- სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი (<https://srca.gov.ge/en>)
- სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორია (<http://sla.gov.ge/En>)

პროექტის მიმდინარეობის პერიოდში ვერ მოხერხდა შეხვედრის ორგანიზება ამ ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, რაც ზღუდავს სათბურის გაზების ინვენტარიზაციაში მათი კონკრეტული როლის განსაზღვრის შესაძლებლობას. ამ კონტექსტში, სასარგებლოა და ხშირად აუცილებელია ინსტიტუციური ძალისხმევები:

- ა) მონაცემების მოპოვების, კვლევების, შეგროვების, გავრცელების და ა.შ. უზრუნველყოფა
- ბ) კვლევის უზრუნველყოფა
- გ) უზრუნველყოფა იმისა, რომ არსებობდეს წესები და წამახალისებელი ფაქტორები ემისიების თავიდან აცილების მიზნით და შთანთქმის ხელშემწყობი მართვის პრაქტიკის (მაგ.სასოფლო-სამეურნეო ნიადაგებში) წახალისება;
- დ) ნახშირბადით მდიდარი მიწების დაცვის უზრუნველყოფა, რათა ისინი არ დაექვემდებარონ მინათსარგებლობაში ცვლილებებსა და შემდგომ ემისიებს.

საქართველოში შემუშავებულია ზოგიერთი შემარბილებელი ღონისძიებები:

- გ)-ს მაგალითი: *საძოვრების მდგრადი მართვა საქართველოში კლიმატის ცვლილების ზემოქმედების შერბილებისა და მისადმი ადაპტაციის სარგებელისა და უპირატესობების დემონსტრირება ადგილობრივი თემებისთვის. ღონისძიების მიზანია საქართველომ აჩვენოს კლიმატის ცვლილების ზემოქმედების შერბილებისა და მისადმი ადაპტაციის სარგებელი და უპირატესობების ადგილობრივ თემებს. ღონისძიება განხორციელდა 2013-2016 წწ. სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა 4000 ჰა დეგრადირებულ საძოვრებს და 300 ჰა ცხვრის მიგრაციულ მარშრუტებს. (BUR 2019, გვ. 75)*
- დ) მაგალითი: *ჭავახეთის დაცული ტერიტორიების დაარსება საქართველოში. ის ძირითადად მოიცავს მაღალ მთებსა და ჭაობიან ტერიტორიებს (CO2-ის შთანთქმა). ღონისძიება განხორციელდა 2010-2011 წწ. შეიქმნა ჭავახეთის დაცული ტერიტორიები, 16614 ჰა ფართობით და შემუშავდა ინფრასტრუქტურა და საკანონმდებლო ბაზები. (BUR 2019, გვ. 75)*

„მეოთხე ეროვნული შეტყობინებაში“ (NC4) (2021) ხაზგასმულია, რომ „სამხუ-ხაროდ, მიმდინარე სტატისტიკა არ აჩვენებს მინათსარგებლობის კატეგორი-ებს და არც მათზე მომხდარ ცვლილებებს კატეგორიების შეცვლის თვალსა-ზრისით, თუმცა, თვალსაჩინოა საძოვრებისა და მდელოების დეგრადაციის მაღალი მაჩვენებელი.“ როგორც ჩანს, არსებობს. საძოვრების მონიტორინ-გის, შესწავლისა და დაცვის პოლიტიკის ჩარჩოს ნაკლებობა.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ 2019 წლის საქართველოს კანონით „მინის მიზ-ნობრივი დანიშნულების განსაზღვრისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნუ-ლების მინის მდგრადი მართვის შესახებ“ შეიქმნა „მინის მდგრადი მართვი-

სა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტო“, როგორც საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი. სააგენტოს ფუნქციები და უფლებამოსილებები განსაზღვრულია მინისტრის 2019 წლის 26 დეკემბრის №2-1258 ბრძანებით „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“. აღსანიშნავია, რომ სააგენტო ახორციელებს სასოფლო-სამეურნეო მიწის რესურსების რეგისტრაციას და მონაცემთა ინტეგრირებულ მონაცემთა ბაზის შექმნას, მიწათსარგებლობის სახელმწიფო მონიტორინგს და შესაბამისი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას. ამისთვის სააგენტოს მინიჭებული აქვს გარკვეული უფლებამოსილებები, რომლებიც რელევანტურია მიწათსარგებლობის, მიწათსარგებლობაში ცვლილებების და სატყეო მეურნეობის (LULUC) მონიტორინგის, ანგარიშგებისა და ვერიფიკაციის (MRV) ძალისხმევებისათვის არა-სატყეო დანიშნულების ტერიტორიებზე, კერძოდ:

- სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რესურსების დანიშნულებისამებრ გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო პოლიტიკისა და შესაბამისი სახელმწიფო პროგრამების მომზადებასა და განხორციელებაში მონაწილეობა;
- სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მდგრადი მართვის სახელმწიფო პოლიტიკის მომზადებასა და განხორციელებაში მონაწილეობა;
- გაუდაბნოებისა და მიწის დეგრადაციის წინააღმდეგ ბრძოლისა და ნიადაგის ნაყოფიერების აღდგენის ღონისძიებების დაგეგმვაში მონაწილეობა;
- ქარსაფარი (მინდორდაცვითი) სარტყლების მართვასთან დაკავშირებული საქმიანობის დაგეგმვასა და განხორციელებაში მონაწილეობა;
- მიწათსარგებლობასთან დაკავშირებული თემატური რუკების მომზადება;
- სააგენტოში წარმოდგენილი დოკუმენტების შენახვა, დაცვა და მათზე წვდომის უზრუნველყოფა (...).

დაგროვების სხვა რეზერვუარებში ნახშირბადის მარაგის ცვლილების შეფასება ხშირად არ ხორციელდება და მათ არ გააჩნიათ გადამწყვეტი მნიშვნელობა MRV-ს სისტემის შემუშავებისას. მათი შეფასება შესაძლებელია შემდგომ ეტაპებზე, შეფასებების გაუმჯობესებისას.

ქვემოთ მოცემულ განყოფილებაში განხილულია რამდენიმე ინსტიტუტი, რომლებიც ასევე მნიშვნელოვანია ამ არასატყეო კატეგორიებისთვის.

#### 4.1.7. სხვა ინსტიტუტები, რომლებიც მნიშვნელოვანია ძლიერი MRV-ს სისტემის განვითარებისთვის

##### **ა) ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო (<http://www.economy.ge>):**

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო (MESD) შეიძლება მნიშვნელოვანი მოთამაშე იყოს კლიმატის პოლიტიკის ინტეგრაციის, სხვა პოლიტიკებთან თანმიმდევრობისა და შიდასახელმწიფოებრივი კოორდინაციის ხელშეწყობის პროცესში, მათ შორის კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ მოქმედებისა და სათბურის გაზების ემისიების MRV-ს განხორციელებაში.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, თუ რა როლი შეუძლია შეასრულოს MESD-ის დაქვემდებარებაში მყოფმა ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტომ გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურებისა და მოდალობების განხორციელებაში: ეს სააგენტო არის 2018 წლის გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო. გარდა ამისა, MESD ასევე ჩართულია ურბანული დაგეგმარების საქმიანობაში, რასაც საკვანძო მნიშვნელობა აქვს მიწათსარგებლობაში ცვლილებების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას.

##### **ბ) სტატისტიკის ეროვნული სამსახური (<https://www.geostat.ge/en>):**

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (NSO) ფუნქციები განსაზღვრულია 2018 წლის კანონით ოფიციალური სტატისტიკის შესახებ ([https://www.geostat.ge/media/20817/latest-Law-of-Georgia\\_2018.pdf](https://www.geostat.ge/media/20817/latest-Law-of-Georgia_2018.pdf)). ის ჩართულია გარემოს დაცვასთან დაკავშირებული ინფორმაციის შეგროვებაში (წყალი, ნარჩენები, ენერჯია, ტრანსპორტი), მათ შორის: სასუქებისა და პესტიციდების მოხმარება, ხე-ტყის წარმოება და ექსპორტი.

მისი გარემოსდაცვითი სტატისტიკა ეფუძნება MEPA-ს სამსახურების მიერ მოწოდებულ ინფორმაციას და ქვეყნდება NSO-ის წლიურ ანგარიშში. აღსანიშნავია, რომ ეროვნული სატყეო სააგენტო უზიარებს თავის მონიტორინგის მონაცემებს NSO-ს და, როგორც ჩანს, ორმა დაწესებულებამ ხელი მოაწერა ურთიერთგაგების მემორანდუმს მათი თანამშრომლობის მოდალობის დაზუსტების მიზნით.

პროექტის მიმდინარეობის პერიოდში ვერ მოხერხდა შეხვედრის ორგანიზება ამ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წარმომადგენლებთან, რაც ზღუდავს სათბურის გაზების ინვენტარიზაციაში მისი კონკრეტული როლის განსაზღვრის შესაძლებლობას.

მაგრამ ქვეყნის სტატისტიკის სფეროში მისი ჩართულობის დონე და მის მიერ დაგროვილი ცოდნა მიუთითებს იმაზე, რომ ის წარმოადგენს LULUCF-ის სექტორში სათბურის გაზების ინვენტარიზაციის მონაცემების მომწოდებლები. უფრო მეტიც, შესაძლებელია წარმოვიდგინოთ სისტემა, სადაც საქსტატს ექნება დამატებითი პასუხისმგებლობა LULUCF-ის სათბურის გაზების ინვენტარიზაციაში.

### **ც) სახელმწიფო ორგანოები ქვენაციონალურ დონეზე:**

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი (2014) განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების სამართლებრივ საფუძველს, განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობების უფლებამოსილებებს, ადგენს მათი შექმნისა და საქმიანობის მკაფიო წესებს, აწესრიგებს მათ ფინანსებს და ქონებას, მათ ურთიერთობას მოქალაქეებთან, საჯარო დაწესებულებებთან და საჯარო ან კერძო სამართლის სუბიექტებთან და ადგენს ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობისა და უშუალო სახელმწიფო ადმინისტრირების წესს.

კერძოდ, მუნიციპალიტეტებს („ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულები“) აქვთ ადგილობრივი ბუნებრივი რესურსების, მათ შორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ტყის და მიწის რესურსების მართვის უფლებამოსილება (ადგილობრივი თვითმმართველობის 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მუხლი 16.2, გ). უფრო მეტიც, მათ ევალებათ სივრცითი დაგეგმარების სქემების, გენერალური და განაშენიანების გეგმების მომზადება და დამტკიცება, ასევე მიწის ნაკვეთებისათვის სტატუსის მინიჭება (2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მუხლი 16.2, ე, მ). ამიტომ, მუნიციპალიტეტებს შეიძლება მოეთხოვოს შეაგროვონ ინფორმაცია და მონაცემები LULUCF-ის შესახებ მათ ადმინისტრაციულ საზღვრებში.


## **4.2. არსებული სამართლებრივი და ინსტიტუციური ბაზის შეფასება**

სხვადასხვა ქვეყნების ინსტიტუციური მოწყობა განსხვავდება ერთმანეთისაგან, ეროვნული გარემოებების, მოქმედების პრიორიტეტებისა და ქმედებების განხორციელებასა და ანგარიშგებაში ჩართული დაინტერესებული მხარეების ინფორმირების კუთხით არსებული მოთხოვნების მიხედვით. ზოგიერთ ქვეყანაში, ერთი ორგანიზაციული სტრუქტურა შეიძლება იყოს პასუხისმგებელი ყველა თემაზე, ამოცანებსა და შედეგებზე, ხოლო სხვა ქვეყნებში ეს პასუხისმგებლობა შეიძლება განაწილებული იყოს სხვადასხვა დამოუკიდებელ ორგანიზაციას შორის.

ინსტიტუციური ღონისძიებები შეიძლება ორგანიზებული იყოს ხუთი ცალკეული კომპონენტის გარშემო (იხ. სურ. 1). ესენია:

1. ორგანიზაციული მანდატი;
2. საექსპერტო ცოდნა;
3. მონაცემთა ნაკადები;
4. სისტემები და ინსტრუმენტები;
5. დაინტერესებული მხარეების ჩართულობა;
6. ინსტიტუციური მოწყობის სტრუქტურა

**სურ. 5:** ინსტიტუციური მოწყობის ძირითადი კომპონენტები (წყარო: 2020-3 UNFCCC)



### 4.2.1. ორგანიზაციული მანდატი

ორგანიზაციული მანდატი უნდა მოცავდეს ტექნიკურ დავალებას, რომელსაც მიზანია, გარანტირებული იყოს საჭირო ადამიანური, ფინანსური და საინფორმაციო რესურსების ხელმისაწვდომობა და მკაფიოდ იყოს განსაზღვრული გადაწყვეტილების მიღების პროცესი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ ეს ორგანიზაციული მანდატები ხელს უწყობს ექსპერტებსა და საექსპერტო ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობას და უნდა, მაგალითად, უზრუნველყონ ახალი მონაცემების რეგულარული მიწოდება, მონაცემთა კონფიდენციალურობის მართვა, მონაცემთა ხელმისაწვდომობის გარანტია და კერძო სექტორის ორგანიზაციების ჩართვა მონაცემების ან კონსულტაციის უზრუნველყოფაში.

#### #დაბუსტება 1: არის თუ არა ნათლად განსაზღვრული წამყვანი სტრუქტურა?

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (MEPA) აშკარად წამყვანი უწყებაა.

MEPA-ს ფარგლებში, გარემოს დაცვისა და კლიმატის ცვლილების დეპარტამენტი (DECC) არის ორგანო, რომელსაც ევალება კლიმატის ცვლილების პოლიტიკასთან დაკავშირებულ საკითხებზე მუშაობა.

DECC-ის ფარგლებში, კლიმატის ცვლილების სამმართველო (CCD), არის ორგანო, რომელსაც ევალება კოორდინაცია გაუწიოს საქართველოს ოფიციალური დოკუმენტებისა და ანგარიშების მომზადებას, რომლებიც წარედგინება UNFCCC-ს, სათბურის გაზების ემისიის ეროვნული ინვენტარიზაციის ანგარიშის (NIR) ჩათვლით.

EIEC, რომელიც სახელმწიფო კონტროლის ქვეშაა MEPA-ს მეშვეობით, არის მონაცემთა და ინფორმაციის შეგროვებისა და მართვის კოორდინატორი.

### **#დაზუსტება 2: არის თუ არა ნათლად იდენტიფიცირებული სათბურის გაზების ინვენტარიზაციაში ჩართული ყველა სტრუქტურა?**

ამ დრომდე სსიპ გარემოსდაცვითი საინფორმაციო და განათლების ცენტრი (EIEC) დამოუკიდებელი საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტების დახმარებით ამზადებდა სათბურის გაზების ეროვნული ინვენტარიზაციის ანგარიშებს. ტექნიკური გუნდების ბირთვს ქმნიან ცალკეული პროექტების ფარგლებში დაქირავებული გარე კონსულტანტები.

სხვა სამინისტროები და სამსახურები ამ სისტემის ნაწილი არიან. ისინი ძირითადად მონაცემთა მიმწოდებლების ფუნქციას ასრულებენ. LULUCF-ისთვის მონაცემთა მიმწოდებელთა სრული სია ჯერ არ არის იდენტიფიცირებული. მისი დეტალურად ნახვა შესაძლებელი გახდება LULUCF-ის მიმდინარე მონაცემთა ნაკადების ცალკე შეფასებაში.

სათბურის გაზების ინვენტარიზაციის სისტემაში შემდეგი სტრუქტურების ჩართვა შეიძლება იყოს გათვალისწინებული:

- კლიმატის ცვლილების საბჭო (CCC)
- გარემოს ეროვნული სააგენტო (NEA)
- ეროვნული სატყეო სააგენტო (NFA)
- დაცული ტერიტორიების სააგენტო (APA)
- მიწის მდგრადი მართვისა და მინათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტო
- სტატისტიკის ეროვნული სამსახური (NSO)
- მიწის მონიტორინგის სამმართველო

### **#დაზუსტება 3: არის თუ არა სისტემა კარგად აღწერილი NC-ში ან NIR-ში (მაგალითად, მკაფიო საორგანიზაციო სქემით)?**

მკაფიო სქემა გვიჩვენებს პროცესში ჩართულ ძირითად სუბიექტებს; მისი ნახვა შესაძლებელია ეროვნულ კომუნიკაციასა და ინვენტარიზაციის უკანასკნელ ანგარიშში (მისი ასლი მოყვანილია ამ ანგარიშის 2.1.1 პუნქტში). ის აერთიანებს უწყებებსა და პროდუქტებს, რათა უკეთ აისახოს პროექტის საფუძველი სისტემა. მონაცემთა მიმწოდებლების დასახელების თვალსაზრისით სურათი ამომწურავი არაა, მაგრამ ძირითადი მიმწოდებლები ასახულია. აღსანიშნავია, რომ არსებული პროცესი განპირობებულია საერთაშორისო დაფინანსებული პროექტებით (GEF/UNDP), არსებულ ინსტიტუციურ შეთანხმებებში მისი რეგულირება ან აღწერა არ მომხდარა.

**#დაბუსტება 4: არსებობს თუ არა ინსტიტუციონალური ჩარჩოები (ოფიციალური დოკუმენტები) ადამიანური, ფინანსური და მონაცემთა რესურსების ხელმისაწვდომობის გარანტირებისთვის?**

სათბურის გაზების ინვენტარიზაციისათვის ადამიანური, ფინანსური და მონაცემთა რესურსების ხელმისაწვდომობის გარანტირებისათვის შექმნილი ოფიციალური დოკუმენტი არ გამოვლენილა.

- სათბურის გაზების ინვენტარიზაციის წარმოების უზრუნველყოფის მანდატი MEPA-ს გარემოს დაცვისა და კლიმატის ცვლილების დეპარტამენტს (DECC) დადგენილების საფუძველზე მიენიჭა (საქართველოს მთავრობის 2018 წლის 6 მარტის №112 დადგენილება).
- სათბურის გაზების ინვენტარიზაციის განხორციელება ხდება გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის (GEF) ფინანსური რესურსების დახმარებით.
- ადამიანური რესურსების უმეტესობა საქართველოდანაა, შიდა თუ გარე ექსპერტების სახით. წარსულში ასევე დაიქირავეს საერთაშორისო კონსულტანტები, მაგრამ არა უახლესი NIR-ისთვის.
- კონკრეტულად მონაცემთა რესურსების შეფასება მოცემულია პუნქტში 2.3.

უნდა აღინიშნოს, რომ შემდეგი BTR-ის რეალიზაციის კონტექსტში, EIEC-მა, რომელიც პასუხისმგებელია ინვენტარიზაციის სამუშაოების განხორციელებაზე, დაიწყო სამუშაოს განსახორციელებლად საჭირო ექსპერტების დაქირავება.

**#დაბუსტება 5: ეფექტურად მუშაობდა თუ არა სისტემა სათბურის გაზების უკანასკნელი ინვენტარიზაციებისას?**

ინვენტარიზაცია სამჯერ ჩატარდა და უკანასკნელი ახლახან, 2021 წელს გამოქვეყნდა. ზოგადად, ის როგორც ჩანს პასუხობს საერთაშორისო მოლოდინებს.

**#დაბუსტება 6: არსებობს თუ არა სათბურის გაზების ინვენტარიზაციისთვის ეროვნული სტრატეგიული მმართველი კომიტეტი მინისტრების დონეზე?**

ასეთი არ გამოვლენილა. სათბურის გაზების უახლესი ინვენტარიზაციისათვის არსებობდა აღმასრულებელი პროექტის საბჭო. და, ჯერჯერობით, არ არის ნათელი, იყო თუ არა ეროვნული ინვენტარიზაციები ოფიციალურად დამტკიცებული სამთავრობო დონეზე UNFCCC-ში მათ წარდგენამდე.

**#დაბუსტება 7: იყო თუ არა უკანასკნელ ინვენტარიზაციებში იდენტიფიცირებული კონკრეტული სირთულეები ან გამოწვევები LULUCF-ისთვის ადამიანური, ფინანსური და მონაცემთა რესურსების თვალსაზრისით?**

EIEC-ის მიერ LULUCF-ის ინვენტარიზაციის განხორციელებისას რაიმე კონკრეტული გამოწვევა ნახსენები არ ყოფილა. მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ LULUCF-ის ინვენტარიზაციის რამდენიმე კატეგორიის შეფასება არ გაკეთებულა. ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ შედეგები არასრულფასოვანია, არამედ იმას, რომ ყველა კატეგორია არაა პრიორიტეტული. და მაინც, უფრო სრულყოფილი



შედეგის მისაღებად მაინც შეიძლება გარკვეული გაუმჯობესებების განხორციელება.

**სურ. 6:** NIR-ში ასახული LULUCF-ის ინვენტარიზაციის დიაკაზონი

GHG Source and Sink Categories	CO <sub>2</sub>		CH <sub>4</sub>		N <sub>2</sub> O		NO <sub>x</sub>		CO	
	Method applied	Emission factor	Method applied	Emission factor	Method applied	Emission factor	Method applied	Emission factor	Method applied	Emission factor
5.A Forest land	D,T1	D,PS	D,T1	D	D,T1	D	D,T1	D	D,T1	D
5.B Cropland	D,T1	D,PS	NE	NE	NE	NE	NE	NE	NE	NE
5.C Grassland	D,T1	D,PS	NE	NE	NE	NE	NE	NE	NE	NE
5.D Wetlands	NE	NE	NE	NE	NE	NE	NE	NE	NE	NE
5.E Settlements	NE	NE	NE	NE	NE	NE	NE	NE	NE	NE
5.F Other land	NE	NE	NE	NE	NE	NE	NE	NE	NE	NE

D: IPCC default, T1-T3: IPCC Tier 1-3, PS: plant specific.]

როგორც ჩანს, საქართველოში არ არსებობს დიდი ადამიანური რესურსი, ვისაც შეუძლია LULUCF-ის ინვენტარიზაციის განხორციელება. რესურსები შეზღუდულია შემდეგი ინვენტარიზაციისთვისაც და აშკარაა, რომ სექტორი კვალიფიცირებული სპეციალისტებისა და მონაცემების ნაკლებობას განიცდის. გამოთვლები Excel-ის ცხრილებში გაკეთდა მონაცემთა შეზღუდული დაშლით. მიწის მონიტორინგი ცოტა ზოგადია. შეფასებები არ არის გაკეთებული ნახშირბადის ყველა რეზერვუარისათვის. დამზადებული ხე-ტყის მასალის შეფასებები არ კეთდება. ტყის ეროვნული ინვენტარიზაცია მალე ხელმისაწვდომი იქნება, მაგრამ ყველა პრობლემას ვერ გადაჭრის. ასე რომ, არის ხარვეზები, რომლებიც მოითხოვს ამ სექტორზე ყურადღების გამახვილებას. მეორე მხრივ, ეს გამოწვევები არსებობს ყველა ქვეყანაში, მიუხედავად მათი რესურსების დონისა.

#### 4.2.2. ექსპერტიზა

ადგილობრივ ექსპერტთა გუნდს უნდა შეეძლოს რეგულარულად შეაგროვოს და დაამუშავოს მონაცემები, რათა დროულად აწარმოოს მოთხოვნილი შედეგები. გუნდს უნდა ჰქონდეს შესაბამისი დამხმარე ექსპერტიზის რესურსი და წვდომა შესაბამის სასწავლო მასალებზე.

ასევე უნდა არსებობდეს ეფექტური დაქირავების, შენარჩუნებისა და ჩანაცვლების პროცედურები, რომლებიც მოტივაციას უქმნის ექსპერტების გრძელვადიან და აქტიურ ჩართულობას ანგარიშგების პროცესში. ეს ასპექტები

დამოკიდებულია შესაბამის ორგანიზაციულ მანდატებზე, როგორც ზემოთ იყო აღწერილი.

ადგილობრივი ექსპერტები პასუხისმგებელნი არიან მონაცემთა და ინფორმაციის შეგროვებაზე, დამუშავებაზე და მონესრიგებაზე გამჭვირვალობის საკითხებზე ანგარიშებისათვის. ზოგადად, ადგილობრივ ექსპერტებს უნდა:

- ჰქონდეთ კარგი ურთიერთობა მონაცემთა მომწოდებლებთან.
- შეეძლოთ თავისუფლად იმუშაონ მონაცემთა ანალიზზე და გამოთვლებზე, და კარგად ერკვეოდნენ შესაბამის მეცნიერულ საკითხებში და მეთოდებში, IPCC-ის მითითებების ჩათვლით.
- კარგად ესმოდეთ შესაბამისი მონაცემთა ნაკრებების უპირატესობები და შეზღუდვები.

### **#დაზუსტება 8: თუ არა სისტემა IPCC-ის მეთოდებში მომზადებული ადამიანების მონაწილეობას?**

ინვენტარიზაციაში ჩართული ექსპერტები გადიან სპეციალურ ტრენინგებს ინვენტარიზაციის საკითხებში, განსაკუთრებით უკანასკნელი ინვენტარიზაციებისთვის, რომელიც პირველად იყო დაფუძნებული 2006 წლის IPCC-ის სახელმძღვანელო პრინციპებზე.

### **#დაზუსტება 9: როგორ ავითარებენ და ინარჩუნებენ სამთავრობო უწყებები და დეპარტამენტები შიდა ექსპერტებს?**

ინვენტარიზაციის წარმოების ტექნიკური ექსპერტიზა ამჟამად დამოკიდებულია გარე კონსულტანტებზე, რომელთა დაქირავებაც პროექტის ფარგლებში ხდება. თუმცა, უკანასკნელი ინვენტარიზაციის გუნდის ლიდერი, ბატონი გიორგი მუხიგულიშვილი, ჩართული იყო ინვენტარიზაციის 3 ღონისძიებაში საქართველოში. ამრიგად, არსებობს გარკვეული განგრძობადობა. UNFCCC-ის რჩევებში აღნიშნულია, რომ ინსტიტუციური მოწყობის შემუშავების ადრეულ ეტაპებზე, შესაძლოა სასარგებლო იყოს გარე მხარდაჭერის უზრუნველყოფა ეროვნული ექსპერტების გუნდის ტრენინგისა და მენტორობისათვის. ადგილობრივი ექსპერტების გუნდს ასევე შეუძლია დროდადრო დროებით აიყვანოს დამატებითი დამხმარეები მიმდინარე ღონისძიებებისათვის. თუმცა, საქართველოში, EIEC-ის დირექტორის, ქალბატონ თამარ ალადაშვილის თქმით, მოკლევადიან პერიოდში ამ აქტივობების ინტერნალიზება არ იგეგმება.

### **#დაზუსტება 10: როგორ ხდება კონსულტანტებისთვის აქტიურად დირექტივების/რჩევების მიცემა სამთავრობო უწყებებისა და დეპარტამენტების მიერ?**

მთელი პროცესი იმართება როგორც პროექტი, თავისი გუნდის ლიდერით, რომელიც ხელმძღვანელობს ხსენებულ კონსულტანტებს.

### **#დაზუსტება 11: როგორ უწყობენ ხელს არასამთავრობო ორგანიზაციების ექსპერტები გამჭვირვალობის სისტემაში?**

არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობა ამ დროისთვის არ დაფიქსირებულა.

**#დაზუსტება 12: არსებობს თუ არა არსებული ცოდნის მართვისა და ტრენინგის რესურსები ინფორმაციის არქივაციისა და პროცესების დოკუმენტაციისთვის, რათა უზრუნველყოფილი იყოს, რომ მუშაობა დაგროვილ გამოცდილებაზე აიგოს და ასევე გაუადვილდეს მუშაობა მომავალ თანამშრომლებს?**

ეროვნული ინვენტარიზაციის ანგარიშის გამოქვეყნება გამჭვირვალედ ხდება და ის სათბურის გაზების ინვენტარიზაციის მეთოდოლოგიურ განმარტებებს შეიცავს. ეს არის მთავარი დოკუმენტი, რომელიც ხელმისაწვდომია მომავალი გუნდებისთვის.

არ გამოვლენილა რაიმე კონკრეტული პროცედურა ან ინსტრუმენტი, რომელიც ხელს შეუწყობდა კონსულტანტების მუშაობას ან ტრენინგი, რომელიც უნარების წარმატებულ ამალვებას უზრუნველყოფდა.

### **4.2.3. მონაცემთა ნაკადები**

სანდო, რეგულარული მონაცემთა ნაკადები აუცილებელია ინსტიტუციური მონაცემების კარგად ფუნქციონირებისა და ეროვნული გამჭვირვალობის ჩარჩო-საფუძვლების უზრუნველსაყოფად. ეს მოიცავს მონაცემთა საჭიროების და გამოყენების განსაზღვრას, მონაცემთა საჭირო ნაკრების რეგულარულად მიწოდების მართვას რიგი მონაცემთა მომწოდებლებისაგან და მუდმივად მონაცემთა გაუმჯობესებას და გაურკვევლობის შემცირებას.

მონაცემთა ნაკრებები მოიცავენ ეროვნულ სტატისტიკას და სამთავრობო მონაცემებს, გაზომვის სხვადასხვა ფორმებს, კომპანიებისა და პროფესიული ასოციაციების ანგარიშებს, აღწერებსა და გამოკითხვებს, რომლებიც უკვე განხორციელებული და ანგარიშგებულია.

ისინი ასევე მოიცავენ ახალ მონაცემებს, რომლებიც სპეციალურად შემუშავებულია ცოდნის ხარვეზების შესავსებად, სადაც არსებული მონაცემები არ არსებობს, მათ შორისაა ახალი კვლევები, გაზომვები და სხვა სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც შეგროვებულია კონკრეტულ ანთროპოგენურ საქმიანობასთან დაკავშირებით (მაგ. სატყეო მეურნეობა, სოფლის მეურნეობა, ფტორირებული გაზების გამოყენება), კლიმატის რისკები და პრობლემური საკითხები, და ასევე ადაპტაციისა და შემარბილებელი ღონისძიებების ღირებულება, პირდაპირი და ირიბი სარგებელი, და ინფორმაცია შესაბამისი ძალისხმევებისათვის საჭირო ფინანსური, ტექნოლოგიური და შესაძლებლობების განვითარების კუთხით დახმარების შესახებ. მნიშვნელოვანი იქნება იმ დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირება და პროცესში ჩართვა, რომლებიც ფლობენ, აწარმოებენ და შეუძლიათ ასეთი მონაცემების მიწოდება.

**#დაზუსტება 13: არიან თუ არა მკაფიოდ იდენტიფიცირებული მონაცემთა ძირითადი მომწოდებლები?**

LULUCF-ისთვის ტყის სექტორი ხშირად პრიორიტეტულია და ამიტომ ტყის სფეროში დაინტერესებული მხარეები საკმაოდ კარგად არიან იდენტიფიცირებული.

ცირებული: MEPA-ს სატყეო პოლიტიკის სამმართველო, ეროვნული სატყეო სააგენტო და დაცული ტერიტორიების სააგენტო. თუმცა, ბოლომდე არ არის ნათელი, თუ როგორ მუშაობს ყველა ეს ორგანიზაცია ერთად სათბურის გაზების ინვენტარიზაციისთვის. როგორც ჩანს, ისინი ჩართულნი არიან ტყის ეროვნული ინვენტარიზაციის წარმოებაში, რომელიც წარმოადგენს LULUCF-ის ტყის სექტორის მონაცემთა ერთ-ერთ ძირითად წყაროს. ტყის შემთხვევაში, LULUCF-ში ზღვარი მონაცემთა მიმწოდებელსა და ინვენტარიზაციის შემდგენელს შორის მცირეა.

პრაქტიკაში, ერთადერთი ეროვნული ტყის ინვენტარიზაცია (NFI) სულ ახლახანს განხორციელდა და ვერ იქნებოდა გამოყენებული სათბურის გაზების უახლესი ინვენტარიზაციისთვის. ამჟამად მიმდინარეობს სავსე მონაცემების ანალიზი შედეგების გამოქვეყნების მიზნით.

ტყის ეს ინვენტარიზაცია აუცილებელია, რადგან ის იძლევა შესაძლებლობას, განახლდეს მთელი ცოდნა ტყის ჯანმრთელობის შესახებ კლიმატის ცვლილებისა და ანთროპოგენური ზეწოლის კონტექსტში. მას ასევე შეუძლია შექმნას ახალი აქტივობის კომპონენტების გამოვლენის შესაძლებლობა ხე-ტყის დამზადების კუთხით. ამჟამად უკანონო ჭრა ქმნის სირთულეებს ხე-ტყის მოპოვება/დამზადებისა და მისი ზემოქმედების ზუსტი სურათის მისაღებად. თუმცა, სიფრთხილეა საჭირო, რადგანაც ეს ტყის პირველი ყოვლისმომცველი ინვენტარიზაციაა, რომელიც არ გვთავაზობს სრულ ინფორმაციას მარაგების ცვლილებაზე. ამისთვის საჭირო იქნება დამატებითი ღონისძიებები, ხოლო NFI-ების განხორციელებას ათწლეულებში ერთხელ ინტერვალებით მოელიან. იმ მიწებისთვის, რომლებიც არ არის სატყეო, დაინტერესებული მხარეები და მონაცემთა მიმწოდებლები არც ისე ნათელია, რამდენადაც ამ მიწების შეფასებები არც ისე სრულია. გამოდის, რომ LULUCF-ის ექსპერტიზისა და მონაცემების უმეტესობა, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო მიწებზე, რა თქმა უნდა MEPA-შია (რომელიც ასევე პასუხისმგებელია სოფლის მეურნეობაზე).

**#დაზუსტება 14: არის თუ არა მკაფიო სქემა რომელიც აჩვენებს ყველა მონაცემთა ნაკადს LULUCF-სთვის?**

ასეთი სქემა არ მოიძებნა.

**#დაზუსტება 15: უზრუნველყოფს თუ არა სისტემა მონაცემთა მიმწოდებლებთან უფასო, მარტივ, რეგულარულ კომუნიკაციას?**

ტყის ეროვნული ინვენტარიზაცია საქართველოში სულ ახალი რამაა და უახლესი ინვენტარიზაციისთვის მისი გამოყენება ინვენტარიზაციის განმახორციელებლის მიერ ვერ მოხერხდება. ვინაიდან ამ ინვენტარიზაციას ხელმძღვანელობს MEPA-ს სისტემაში არსებული სამმართველო, სათბურის გაზების ინვენტარიზაციისათვის ეროვნული ტყის ინვენტარიზაციის (NFI) მონაცემებზე წვდომა სირთულეს არ უნდა წარმოადგენდეს.

**#დაზუსტება 16: არსებობს თუ არა საკანონმდებლო და პოლიტიკის ინსტრუმენტები, ასევე მექანიზმები და მოდალობები, რომლებიც ხელს უწყობენ მონაცემთა ნაკადის მიმოსვლას სამთავრობო უწყებებსა და კერძო სექტორს შორის?**

LULUCF-ის კონტექსტში მონაცემთა ნაკადები სააგენტოსა და კერძო სექტორს შორის არ გამოვლენილა. ეს შესაძლებლობა გამოსარკვევია იმ მუნიციპალიტეტების კონტექსტში, რომლებიც კონკრეტულად პასუხისმგებელნი არიან ტყის მენეჯმენტზე... EIEC-ის დონეზე აღინიშნა, რომ მონაცემთა მომწოდებლებთან არსებული MoU (თანამშრომლობის მემორანდუმი) სამუშაოს გასაადვილებლად სასარგებლო იყო, მაგრამ გარკვევით არ ჩანს, იყო თუ არა ის სასარგებლო LULUCF-ის ინვენტარიზაციასთან დაკავშირებული რაიმე კონკრეტული საკითხისათვის. ეს საკითხი დამატებით შემდგომ შესწავლას საჭიროებს.

**#დაზუსტება 17: რა როლს ასრულებენ სტატისტიკის ეროვნული სამსახურები, გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების დეპარტამენტები და გარემოსდაცვითი სააგენტოები მონაცემთა მიწოდებაში, ანალიზსა და ხარისხის უზრუნველყოფაში/ხარისხის კონტროლში?**

უახლესი NIR-ის მიხედვით (პუნქტი 2.3), ხარისხის კონტროლის (QC) აქტივობებს ახორციელებს ექსპერტთა ჯგუფი, რომელიც ჩართულია სათბურის გაზების NIR-ის მომზადებაში, და პროექტის კოორდინატორი, საქართველოს სათბურის გაზების NIR-ის შედგენისა და შემუშავების დროს. ხარისხის უზრუნველყოფის (QA) თვალსაზრისით, ამ NIR-ის გარე შემომწმება კოორდინირებული იყო UNDP-UNEP-ის გლობალური მხარდაჭერის პროგრამის (GSP) მიერ და განხორციელდა 2020 წლის 16-22 მარტს სათბურის გაზების ემისიების ეროვნულ ინვენტარიზაციის კონსულტანტის, დოქტორ კარლოს ლოპესის მიერ.

როგორც ჩანს, ეროვნული ოფისებისა და სააგენტოების როლი უმეტესად მონაცემების მიწოდებაში გამოიხატება, მაგრამ ისინი შესაძლოა არ იყვნენ აქტიურად ჩართულნი ხარისხის უზრუნველყოფის/ხარისხის კონტროლის პროცესში.

**#დაზუსტება 18: აქვს თუ არა ადგილი საქმიანობის დუბლირებას სხვადასხვა ორგანოებს შორის მონაცემთა შეგროვების დროს?**

LULUCF-თან დაკავშირებული მონაცემებისა და ექსპერტიზის უმეტესობა არის ან გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში ან მასზე დაქვემდებარებულ უწყებებში. მათ შორის ამ საკითხებში საქმიანობის ამკარა დუბლირება ან წინააღმდეგობა არ დაფიქსირებულა.

**4.2.4. კოორდინაცია, სისტემები და ინსტრუმენტები**

კოორდინაცია, სისტემები და ინსტრუმენტები მნიშვნელოვანია გამჭვირვალობის სისტემის გამართული ფუნქციონირებისთვის. ეს მოიცავს შეგროვების მართვას, ანალიზს, ხარისხის უზრუნველყოფას/ხარისხის კონტროლს, მონაცემთა შეჯამებას და დაარქივებას. ინსტიტუციურმა მოწყობამ უნდა უზ-

რუნველყოს სამუშაო გეგმების, ჩართულობის ინსტრუმენტების, მონაცემთა ბაზების, მონაცემთა ანალიზის, ინდიკატორებისა და ანგარიშების შემუშავება და შენარჩუნება.

**#დაზუსტება 19: არის თუ არა სათბურის გაზების წინა ინვენტარიზაციის მონაცემები (მათ შორის, საანგარიშო ფაილები) მთლიანად დაარქივებული და ხელმისაწვდომი?**

ოფიციალური დოკუმენტები (NIR-ი, NC-ი, BUR-ი) ხელმისაწვდომია. შეგროვებული მონაცემები და წინა ინვენტარიზაციებისათვის გამოყენებული გაანგარიშების ინსტრუმენტები არ არის ცენტრალიზებული არც MEPA-ს და არც EIEC-ის მიერ; ისინი გუნდის ლიდერისა და კონსულტანტების მიერაა შედგენილი.

**#დაზუსტება 20: გამოიყენება თუ არა ინვენტარიზაციის სხვადასხვა ციკლებში ერთი და იგივე ინსტრუმენტები?**

ბოლო ინვენტარიზაციის გამოთვლები განხორციელდა 2006 წლის IPCC-ს სახელმძღვანელოს Excel-ის ცხრილების მეშვეობით. IPCC ინსტრუმენტი (ვერსია 2.5.4, 2017 წ. ივლისი) მხოლოდ ენერგეტიკის სექტორისთვის გამოიყენებოდა.

**#დაზუსტება 21: ხდება თუ არა ახალი მოთხოვნების, შაბლონების, მეთოდოლოგიების რეგულარული განახლება?**

უახლესი ინვენტარიზაცია 2006 წლის IPCC-ის სახელმძღვანელოს მიჰყვება, რაც შეესაბამება არსებულ მოთხოვნებს. შემდგომი 2013 წლის IPCC-ის სახელმძღვანელო მითითებები ქარბტენიან მიწებზე და 2019 წლის ჩასწორებები გამოყენებული არ ყოფილა, მაგრამ ეს შეესაბამება საერთაშორისო მოთხოვნას, რომელიც არ აწესებს ამ მითითებების შესრულების ვალდებულებას.

გლობალური დათბობის პოტენციალის კუთხით, გამოყენებული იქნა IPCC-ის მე-2 შეფასების ანგარიშიდან მიღებული პარამეტრები, რომლებიც შეესაბამება ძველ პარამეტრებს, მაგრამ შეფასების ტექნიკურ დავალებაში არ არის განსაზღვრული მკაცრი ვალდებულებები ამ თვალსაზრისით.

**#დაზუსტება 22: ხდება თუ არა დაგეგმვა და გუნდის შედგენა ანგარიშის მოსამზადებლად?**

გუნდების მუშაობის დაგეგმვა მიბმულია პროექტებზე და მათ დონეზე იმართება.

**#დაზუსტება 23: არის თუ არა განუსაზღვრელობების შეფასება სათბურის გაზების შეფასებებში?**

ეროვნული ინვენტარიზაციის ანგარიში შეიცავს განყოფილებას განუსაზღვრელობების შესახებ და ერთ-ერთი ავტორი მოიხსენიება, როგორც განუსაზღვრელობების ექსპერტი.

NIR-ში (გვერდები 1-15 და 1-16) მოცემულია ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ განხორციელდა განუსაზღვრელობების შეფასება. ის ასევე ასახულია NIR-ის C დანართში განუსაზღვრელობების შესახებ.

### **#დაზუსტება 24: ხორციელდება თუ არა სათბურის გაზების შეფასების შემდგომი ხელახალი გამოთვლა?**

წინა ინვენტარიზაციასთან მიმართებით ხელახალი გაანგარიშება განხორციელდა ბოლო ეროვნული ინვენტარიზაციის ანგარიშში და ის წარმოდგენილია მე-8 თავში.

მიუხედავად ამისა, ცვლილებების შესახებ წარმოდგენილი ინფორმაციაა მწირია („აქტივობის მონაცემები და ემისიების ფაქტორები განახლებული და დაზუსტებულია“). შეიძლება აღინიშნოს, რომ ამ ბოლო ინვენტარიზაციისათვის გამოყენებული იყო IPCC-ის 1996 წლის სახელმძღვანელო (და ასევე 2003 წლის LULUCF-ის კარგი პრაქტიკის სახელმძღვანელო). ამან შეიძლება დიდი განსხვავებები გამოიწვიოს, რომელთა განმარტება ადვილი არაა. ნებისმიერ შემთხვევაში, ტყისთვის გამოყენებული მონაცემების უმეტესობა ძველი მონაცემებია, რომლებიც, რა თქმა უნდა, უკვე გამოყენებული იყო წარსულში. ახალი ტყის ეროვნული ინვენტარიზაციის მონაცემები ჯერ არ იყო ხელმისაწვდომი.

### **#დაზუსტება 25: არის თუ არა გაუმჯობესების გეგმა, რომელიც გამოიყენება და სრულდება წლების განმავლობაში?**

NIR-ში გაუმჯობესების გეგმა არ მოიძებნა.

### **#დაზუსტება 26: არსებობს თუ არა სათბურის გაზების შეფასების ავტომატური კონტროლი?**

ინსტრუმენტები არაა მკაფიოდ იდენტიფიცირებული და არ არის ცნობილი ავტომატური კონტროლის შესახებ.

### **#დაზუსტება 27: ეფექტურია თუ არა სისტემა საანგარიშო ცხრილების საწარმოებლად?**

მიუხედავად იმისა, რომ გამოთვლები შესრულებულია 2006 წლის IPCC-ის სახელმძღვანელოს და ზოგ შემთხვევაში IPCC-ის „კარგი პრაქტიკის სახელმძღვანელოს“ შესაბამისად, საანგარიშგებო ცხრილები ადრინდელი, შემდგომში შესწორებული, 1996 წლის IPCC-ის სახელმძღვანელოს მიხედვითაა შედგენილი.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ შემდეგი BTR-ისთვის, ანგარიშგების ფორმატი ბევრად უფრო დეტალური იქნება და დანართ I-ის ქვეყნების მიერ გამოყენებული ფორმატის მსგავსი იქნება.

### **#დაზუსტება 28: დროულად ხდება თუ არა ოფიციალური შეტყობინებების წარდგენა?**

ეროვნული შეტყობინებები წარდგენილი უნდა იქნეს ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ და მომზადდეს მხარეთა კონფერენციის 17/CP.8 გადაწყვეტილების დანართში მოცემული ინსტრუქციის შესაბამისად, რომელიც დანართ I-ის არაწევრი მხარეების ეროვნული კომუნიკაციების მომზადების შესწორებულ სახელმძღვანელო მითითებებს შეიცავს.

BUR-ები წარდგენილი უნდა იყოს ყოველ ორ წელიწადში ერთხელ და უზრუნველყოფდნენ განახლებებს ეროვნულ კომუნიკაციებში წარმოდგენილ ინფორმაციასთან დაკავშირებით, კერძოდ სათბურის გაზების ეროვნული ინვენ-

ტარიზაციის, შემარბილებელი ქმედებების, შეზღუდვებისა და ხარვეზების შესახებ, მათ შორის საჭირო და მიღებული მხარდაჭერის შესახებ (გადაწყვეტილება 2/CP.17, დანართი III.)

საქართველოდან შეტყობინებების წარდგენის თარიღებია:

- NC1: 1999 წლის 10 აგვისტო
- NC2: 2009 წლის 2 ოქტომბერი
- NC3: 24 თებერვალი 2016 წ
- NC4: 2021 წლის 3 აპრილი
- BUR1: 2016 წლის 18 ივლისი
- BUR2: 2019 წლის 13 ივნისი

#### **#დაზუსტება 29: არის თუ არა სახეზე ინვენტარიზაციის ხარისხის კონტროლის/უზრუნველყოფის დამადასტურებელი დოკუმენტები?**

NIR-ში ნახსენებია ხარისხის კონტროლი / ხარისხის უზრუნველყოფა, მაგრამ ეფექტური კონტროლის შესახებ არანაირი მტკიცებულება არ დაფიქსირებულა. სათბურის გაზების ემისიების ეროვნულ ინვენტარიზაციის კონსულტანტის, დოქტორ კარლოს ლოპესის მიერ 2020 წლის 16-22 მარტს განხორციელებულ ხარისხის უზრუნველყოფის ანგარიშს არ გავცნობივართ.

#### **4.2.5. დაინტერესებული მხარეების ჩართულობა**

მონაცემთა შეგროვება და შედეგების გამოყენება მოითხოვს დაინტერესებული მხარეების ჩართულობას, მათ შორის საზოგადოებას, ადგილობრივ ხელისუფლებას და თემების, ბიზნესისა და სხვა გადაწყვეტილების მიმღებების. რაც უფრო დიდია ჩართულობა, მით უკეთესი (და უფრო სასარგებლო) იქნება გამჭვირვალობის სისტემა მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღებისა და ანგარიშების წარმოებისთვის. დაინტერესებული მხარეების ჩართულობა გულისხმობს ძირითადი პირების და ორგანიზაციების გამოვლენას და მათთვის სარგებლის შეთავაზებას გამჭვირვალობის სისტემაში მათი ჩართულობის სანაცვლოდ (მაგ. მონაცემების, ინფორმაციისა და რესურსების მიწოდება).

#### **#დაზუსტება 30: უზრუნველყოფს თუ არა სისტემა მრავალი დაინტერესებული მხარის ჩართულობისა და საკონსულტაციო პროცესს?**

პროექტისთვის არსებობს აღმასრულებელი საბჭო, მაგრამ მუდმივი მრავალმხრივი კომიტეტი არსებობა არ დაფიქსირებულა.

#### **#დაზუსტება 31: უზრუნველყოფს თუ არა სისტემა ინვენტარიზაციის პროცესისათვის გამოყოფილ ვადებში იმ ადამიანების ჩართულობას, რომლებსაც აქვთ ცოდნა შესაბამისი არსებული მონაცემთა ნაკრებების შესახებ?**


ეროვნული ინვენტარიზაციის ანგარიშების მომზადებას დიდი ყურადღებით ეკიდებიან. LULUCF-ისთვის დაქირავებული კონსულტანტები საქართველოში აღიარებული რესურსების მფლობელი პირები არიან.



**#დაზუსტება 32: არსებობს თუ არა დაინტერესებული მხარეების ინტერესთა კონფლიქტი LULUCF-ის მონიტორინგის, ანგარიშგებისა და ვერიფიკაციის პროცესში?**

ამ დროისთვის ინტერესთა კონფლიქტი არ გამოვლენილა.

**სურ. 7:** ინსტიტუციური მოწყობის სტრუქტურის ნიმუში არჩევითი კომპონენტებით (წყარო: 2020-3 UNFCCC)



**4.2.6. ინსტიტუციური მოწყობის სტრუქტურირება**

ინსტიტუციური მოწყობის სტრუქტურირება ხელს უწყობს ჩართული ორგანიზაციების როლებისა და პასუხისმგებლობების მკაფიოდ განსაზღვრას. ინსტიტუციური მოწყობის სტრუქტურის აღწერა ორგანიზაციულ სქემაში ორგანიზაციული კავშირების ვიზუალური შეჯამების საშუალებას იძლევა.

**#დაზუსტება 33: არსებობს თუ არა სისტემის სტრუქტურის განმსაზღვრელი წერილობითი პროცედურები?**

ამ ეტაპზე გაურკვეველია. 2014 წლის ურთიერთგაგების მემორანდუმი, რომლის მიზანი მონაცემთა გაცვლის გაადვილებაა, ცნობილია დაინტერესებული მხარეებისათვის, მაგრამ მისი ეფექტურობის შეფასება რთულია.

ამ მოხსენების დაწერის დროისათვის, როგორც ჩანს, კლიმატის ცვლილების საბჭოს (CCC) ჯერ არ დაუწყია გადაწყვეტილების მიღების პროცესი მთავრობის მიერ პარიზის შეთანხმების გაძლიერებული გამჭვირვალობის ჩარჩოს (ETF) ფარგლებში ეროვნული MRV-ს სისტემის ჩამოყალიბების წესების, მოდლობისა და პროცედურების მიღების თაობაზე.

### 4.3. LULUCF-ის GHG-ს ინვენტარიზაციის კონკრეტულად მიმდინარე მონაცემთა ნაკადების შეფასება

ინვენტარიზაცია არ შემოიფარგლება მხოლოდ მონაცემების საკითხით, მაგრამ ეს არის განმეორებადი პროცესი, რის გამოც მიზანშეწონილია მასზე დეტალური დაკვირვება. პრაქტიკაში, მონაცემების ნაკლებობა ხშირად მოიხსენიება როგორც ძირითადი დაბრკოლება მაღალი ხარისხის ინვენტარიზაციების წარმოებისთვის.

#### 4.3.1. მიწის მონიტორინგი

მინათსარგებლობის მონიტორინგი ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა LULUCF-ის ინვენტარიზაციის დროს. IPCC-ის სახელმძღვანელო გვთავაზობს მინათსარგებლობაში ცვლილებების შეფასების მზარდი სიზუსტის და სირთულის 3 მიდგომას:

- მიდგომა 1: მიწის ასახვა მიწის თითოეული კატეგორიაში ცვლილებების მონიტორინგის გარეშე,
- მიდგომა 2: მინათსარგებლობის ცვლილების მატრიცის გამოყენება ნიმუშზე და შედეგების ექსტრაპოლაცია მთელ ტერიტორიაზე,
- მიდგომა 3: ყოვლისმომცველი დაფარვისა და მინათსარგებლობაში ცვლილებების რუკის სივრცული ასახვის შესაძლებლობის მექანიზმების მინათსარგებლობის ცვლილების მატრიცების გამოყენება. მიდგომა 3 ყველაზე ხშირად სატელიტური სურათების დამუშავების შედეგად, მაგრამ თეორიულად შეიძლება განხორციელდეს სტატისტიკური შერჩევის საფუძველზეც.

ამჟამად მიწის მონიტორინგი სატელიტურ სურათებს ეფუძნება, მაგრამ დისტანციური ზონდირებით ყველა სირთულე არ აღმოიფხვრება. მაგალითად, ძალიან ძნელია სატელიტური სურათებისგან დამზადებული რუკების შედარება.

#### #დაზუსტება 34: ხელმისაწვდომია თუ არა მინათსარგებლობისა და მინათსარგებლობაში ცვლილების მონაცემები სათბურის გაზების ინვენტარიზაციისთვის? რა ტიპის მონაცემები გამოიყენება?

NIR-ში (გვ. 5-62) აღნიშნულია, რომ მიწის მონიტორინგი ძირითადად ეფუძნება სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროდან მიღებულ მონაცემებს, ხოლო ნაკლები ინფორმაციის შესავსებად გამოიყენებულ იქნა „FAOSTAT“-ის მონაცემთა ბაზა.

ანგარიშებში ასასახი მინათსარგებლობაში ცვლილებების გათვალისწინებით, მინათსარგებლობის მონიტორინგი, რა თქმა უნდა, ეფუძნება რამდენიმე

მონაცემთა ბაზას და არ იყენებს მინათსარგებლობისა და მინათსარგებლობაში ცვლილებების რუკებს. მინათსარგებლობის ცვლილების მატრიცები არ აჩვენებს რაიმე ცვლილებას, მაგალითად, მინების დასახლებებად გამოყენების კუთხით, რაც ნაკლებად სავარაუდოა.

**#დაზუსტება 35: ხორციელდება თუ არა მიწის გამოყენების მონიტორინგი მთელი ქვეყნის მასშტაბით?**

საქართველოში მონიტორინგის დამატებით სირთულეს განაპირობებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიები, რომლებიც არ კონტროლდება საქართველოს მიერ, მაგრამ საქართველოს მიერ LULUCF-ის ინვენტარიზაციაში ასასახველი ტერიტორიის ნაწილია.

**#დაზუსტება 36: არსებობს თუ არა ერთიანი სისტემა, რომელიც მინათსარგებლობის ყველა კატეგორიის თანამიმდევრულობას უზრუნველყოფს?**

ბოლომდე ნათელი არ არის, თუ როგორ ფასდება მინათსარგებლობაში ცვლილებები, მაგრამ არის უწყვეტობის გარკვეული ელემენტები, მაგალითად ის ფაქტი, რომ ტერიტორიების ფარგლები დროთა განმავლობაში მუდმივი რჩება.

**სურ. 8: NIR-ში წარმოდგენილი ცხრილი, რომელიც გვიჩვენებს მრავალ შეუფასებელ კატეგორიას**

GHG Source and Sink Categories	CO <sub>2</sub>		CH <sub>4</sub>		N <sub>2</sub> O		NO <sub>x</sub>		CO	
	Method applied	Emission factor	Method applied	Emission factor	Method applied	Emission factor	Method applied	Emission factor	Method applied	Emission factor
5.A Forest land	D,T1	D,PS	D,T1	D	D,T1	D	D,T1	D	D,T1	D
5.B Cropland	D,T1	D,PS	NE	NE	NE	NE	NE	NE	NE	NE
5.C Grassland	D,T1	D,PS	NE	NE	NE	NE	NE	NE	NE	NE
5.D Wetlands	NE	NE	NE	NE	NE	NE	NE	NE	NE	NE
5.E Settlements	NE	NE	NE	NE	NE	NE	NE	NE	NE	NE
5.F Other land	NE	NE	NE	NE	NE	NE	NE	NE	NE	NE

D: IPCC default, T1-T3: IPCC Tier 1-3, PS: plant specific.

**#დაზუსტება 37: აღრიცხულია თუ არა სისტემაში მინათსარგებლობის ყველა კატეგორია?**

ხორციელდება ყველა ტიპის მიწით სარგებლობის შეფასება, მაგრამ ბევრ მიწას მინათსარგებლობაში ცვლილებები არ შეხებია და შესაბამისად მათში ნახშირბადის ცვლილებები არ არის.

### **#დაზუსტება 38: ხდება თუ არა მართული და უმართავი მიწების დიფერენციაცია?**

NIR-ში (გვ. 5-65) აღნიშნულია რომ მიწის საქართველოს ტყეებისთვის ინვენტარიზაცია ჩატარდა ტყის მთელ ფართობებზე, განურჩევლად ტყის მართვის რეჟიმისა (აქტიური თუ პასიური) [...] გამონაკლისს წარმოადგენს საქართველოს მიერ არაკონტროლირებადი ტერიტორიები (აფხაზეთი, სამხრეთი ოსეთი), რომლებიც გაანგარიშებაში შეტანილი არ არის სათანადო მონაცემთა არარსებობის გამო“.

ეს ნიშნავს, რომ გაანგარიშებები გაკეთდა ყველა მართული ტყეებისათვის, გარდა იმ ტერიტორიებისა, რომლებიც საქართველოს მიერ არ კონტროლდება.

### **#დაზუსტება 39: ხდება თუ არა სტრატეგიკაცია ქვეყნისათვის სპეციფიკური მიწის ქვეკატეგორიებად?**

სახნავ-სათეს მიწებში გამოიყოფა სახნავი და მრავალწლიანი კულტურებისათვის გათვალისწინებული მიწები.

ტყისთვის, დაყოფა ხდება დასავლეთ საქართველოს, აღმოსავლეთ საქართველოსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას სატყეო მიწებად, ტყის ტიპის (წიწვოვანი/ფოთლოვანი) და კლიმატის ტიპის მიხედვით (ტენიანი კონტინენტური/მშრალი კონტინენტური/ტენიანი სუბტროპიკული).

მაგრამ უნდა აღინიშნოს (NIR-ის გვ. 5.73), რომ „სამხუხაროდ, ცალკეული კლიმატური ზონების მიხედვით ტყის ფართობებზე სათბურის გაზების ინვენტარიზაციის ჩატარება შეუძლებელია, საჭირო სტატისტიკური თუ სატექსტურო მონაცემების არარსებობის გამო“.

### **#დაზუსტება 40: ახორციელებს თუ არა სისტემა მიწათსარგებლობისა და მიწათსარგებლობაში ცვლილებების მონიტორინგს ყველა ქვეკატეგორიისთვის და ერთიდან მეორეში ყოველგვარი შესაძლო გადაყვანისათვის?**

NIR-ში (გვ. 5-62) აღნიშნულია, რომ „ტყითსარგებლობის ტერიტორიების ცვლილებები მინიმალურია. აღსანიშნავია, რომ ფართობის მცირე ცვლილება განპირობებულია იმით, რომ საქართველოს ტყეებში პირწმინდა ქრა არ ტარდება და ამავე დროს ტყის მიწების სხვა მიწათსარგებლობის კატეგორიებში გადასვლა უმნიშვნელოა“.

მიწათსარგებლობის ფართობების ცხრილი აჩვენებს მხოლოდ მიწის ფართობებს წლების მიხედვით და არა შეცვლილი დანიშნულების მქონე ფართობებს სანყისი და საბოლოო დანიშნულების მითითებით. არ არის ნათელი, მიწათსარგებლობის მონიტორინგისთვის გამოიყენება მიდგომა 1 თუ მიდგომა 2.

### **#დაზუსტება 41: ხდება თუ არა ცვლილებების აღრიცხვა კონკრეტულად გაუტყეურების კუთხით?**

მკაფიოდ არა.

### **#დაზუსტება 42: ხდება თუ არა ცვლილებების აღრიცხვა კონკრეტულად გატყიანების კუთხით?**

მკაფიოდ არა.

**სურ. 9:** ინვენტარიზაციის პერიოდის განმავლობაში განხილული ტყეების ძველკატეგორიები, მათი მთლიანი ფართობებით

Year	Forest land (National Forestry Agency), ha										
	West Georgia					East Georgia					Total
	humid continental climate (Upper Svaneti -Mestia)		humid continental climate		Total	dry continental climate		humid continental climate (Borjomi-Bakuriani)		Total	(6+11)
	coniferous	deciduous	coniferous	deciduous		coniferous	deciduous	coniferous	deciduous		
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12

Year	Ajara AR, ha			Abkhazia and South Ossetia, ha	Forest areas that exist on the protected sites	Total area of forest of Georgia (12+16+17+18). thousand ha
	coniferous	deciduous	Total			
13	14	15	16	17	18	19

**#დაზუსტება 43:** ხდება თუ არა ცვლილებების აღრიცხვა კონკრეტულად ურბანიზირებული ტერიტორიებთან მიმართებაში?

არ დაფიქსირებულა.

**#დაზუსტება 44:** მინათსარგებლობაში ცვლილების მონიტორინგი ხანგრძლივი პერიოდს მოიცავს თუ მხოლოდ ბოლო წლებს?

GHG ინვენტარიზაციის დროის სერია (დროის რიგი) მოიცავს პერიოდს 1990 წლიდან 2017 წლამდე.

**#დაზუსტება 45:** ხორციელდება თუ არა მინათსარგებლობაში ცვლილების ყოველწლიური ტერიტორიული ცვლილებების მონიტორინგი?

პრინციპში, არა.

**#დაზუსტება 46:** არსებობს თუ არა მინათსარგებლობის მონიტორინგის ვერიფიკაციის პროცესი?

უცნობია.

**#დაზუსტება 47:** იცავს თუ არა მინის მონიტორინგის სისტემა ტყის ზღვრების ეროვნულ განსაზღვრებას?

დიდი ყურადღება ეთმობა ტყის განსაზღვრებას ტყის სფეროს დელიმიტაციისთვის.

**#დაზუსტება 48:** შეესაბამება თუ არა სათბურის გაზების ინვენტარიზაციაში განსაზღვრული ტყის ფართობი NFI-ის ტყის ფართობს?

NFI ჯერ არ არის წარმოდგენილი.

### 4.3.2. ტყის მონიტორინგი

ტყის შემთხვევაში მთავარი ამოცანაა ნახშირბადის მარაგის ცვლილებების რაოდენობრივი შეფასება. ეს შეიძლება ორი განსხვავებული მეთოდით გაკეთდეს:

- „დონე 1“ (ზრდისა და დანაკარგების) მეთოდი (ბიომასისთვის, ეს მეთოდი მოითხოვს ნახშირბადის ნაკადების მონიტორინგს, როგორცაა ტყის ზრდა, სიკვდილიანობა და ხე-ტყის დამზადება)
- „დონე 2“ (მარაგის ცვლილების) მეთოდი (ბიომასისთვის, ეს მეთოდი მოითხოვს ნახშირბადის მარაგის შეფასებას დროის 2 სხვადასხვა მონაკვეთში)

#### #დაზუსტება 49: უზრუნველყოფს თუ არა სისტემა ტყის მონაცემებზე წვდომას?

სათბურის გაზების ინვენტარიზაცია და სატყეო საკითხების მართვას ერთი სამინისტრო ახორციელებს. მონაცემები ერთი სამსახურიდან მეორეს ადვილად მიეწოდება. შეიძლება აღინიშნოს, რომ NIR-შიც და FRA2020-შიც 1990 წლის ტყის ფართობი მსგავსია, მაგრამ განსხვავებულია ბოლო წლებში. ეს ხშირად ხდება, როდესაც სხვადასხვა მონაცემთა ნაკრები გამოიყენება.

LULUCF-ის ექსპერტები (კობა ჩიბურდანიძე და გიორგი ქავთარაძე) აღიარებულნი არიან ტყის ექსპერტები არიან.

#### #დაზუსტება 50: არის თუ არა მარტივი და რეგულარული ურთიერთქმედება NFI-სთან და შესაბამის ორგანიზაციებთან?

სათბურის გაზებისა და NFI-ის ინვენტარიზაციების მართვას ერთი სამინისტრო ახორციელებს.

#### #დაზუსტება 51: ხორციელდება თუ არა ტყეში ხეების ზრდისა და სიკვდილიანობის მონიტორინგი?

NIR-ში (გვ. 5-75) აღნიშულია, რომ ტყის მატების შესახებ ინფორმაციის წყარო ტყის ინვენტარიზაციის ერთიანი მონაცემებია (2003 წლის NIR-ი, ცხრილი 5-16).

მაგრამ კონკრეტულად სიკვდილიანობა მკაფიოდ ასახული არ ყოფილა.

მომავალში NFI-მ უნდა უზრუნველყოს განახლებული და უფრო სანდო მონაცემები მის თაობაზე.

#### #დაზუსტება 52: ხორციელდება თუ არა ხე-ტყის წლიური დამზადების მონიტორინგი?

სამასალე და საშეშე მექნის დამზადების მონაცემები მოცემულია საქართველოს სატყეო მეურნეობის სტატისტიკურ წელიწდეულში 1990-2017 წლებისათვის (NIR-ის ცხრილი 5-17).

NIR-ის თანახმად (5-71), რაც შეეხება ბიომასის დანაკარგების გამოთვლებში გამოყენებული მოცულობითი წონის მონაცემებს იგი მიღებული იქნა საქართველოში წარმოებული მერქნის ძირითადი სახეობების გათვალისწინებით. ვინაიდან ჭრის შედეგად წარმოებული მერქნის მოცულობა საქართველოში

ეროვნული დონეზე სახეობების მიხედვით არ არის იდენტიფიცირებული, ამიტომ გამოყენებული იქნა ექსპერტული შეფასება იმ ძირითადი სახეობების პროცენტული მნიშვნელობების დასადგენად, რომლებსაც მოსახლეობა იყენებს ხე-ტყის მასალად და შეშას სახით.

#### **#დაზუსტება 53: იძლევა თუ არა სისტემა ხე-ტყის არალეგალური ან არაფორმალური დამზადების მოცულობის შეფასების საშუალებას?**

ბოლომდე არ არის ნათელი, NIR-ის 5-17 ცხრილის სათაური გაუგებარია: „საქართველოში 1990-2017 წლებში დამზადებული (მათ შორის, უკანონო ქრებით) საშეშე და სამასალე მერქანი“.

#### **#დაზუსტება 54: ხორციელდება თუ არა ბუნებრივი დარღვევების მონიტორინგი?**

ხანძრები ასახულია. უკანასკნელი მეტეოროლოგიური მოვლენები, გვალვა, მავნებლები LULUCF-ის ინვენტარიზაციაში არ არის ასახული.

#### **#დაზუსტება 55: არის რომელიმე ძირითადი პარამეტრი სპეციფიური კონკრეტული ქვეყნისთვის?**

კორომის ზოგადი სიხშირის მონაცემები თაობაზე ეროვნულ წყაროებს ეყრდნობა.

ბიომასის ზრდის ფაქტორები ეყრდნობა 2003 წლის კარგი პრაქტიკის სახელმძღვანელოს და არა 2006 წლისას, რომელიც კონკრეტული ძირითადი სახეობების კორომების სიხშირეების გამოყენებას ითვალისწინებს.

#### **#დაზუსტება 56: არის თუ არა მონაცემები სატყეო მეურნეობის მეთოდების შესახებ?**

რაოდენობრივი ინფორმაცია ტყის მართვის მენეჯმენტის შესახებ LULUCF-ში არ გამოვლენილა.

### **4.3.3. ხე-ტყის მონიტორინგი**

დამზადებული ხე-ტყის პროდუქციის კატეგორიების მიხედვით შეფასება ბოლო ინვენტარიზაციის ანგარიშში არ მომხდარა. ეს მოითხოვს უამრავ მონაცემს ხის ნაწარმზე.

#### **#დაზუსტება 57: არის თუ არა მონაცემები დამზადებული ხის მასალის შესახებ?**

ინფორმაცია ხის პროდუქტების შესახებ არსებული მონაცემების თაობაზე არ მოიძებნა.

#### **#დაზუსტება 58: ხელმისაწვდომია თუ არა მონაცემები ხე-ტყის იმპორტისა და ექსპორტის შესახებ?**

ხის პროდუქტების ექსპორტის შესახებ არსებული მონაცემების შესახებ ინფორმაცია არ მოიძებნა (იმპორტის შესახებ ინფორმაცია ნამდვილად არ არის სასარგებლო, თუ ანგარიშგება წარმოებაზე დაფუძნებული მიდგომის საფუძველზე ხდება).

#### 4.3.4. მკვდარი ორგანული ნივთიერებების მონიტორინგი

მკვდარი ორგანული ნივთიერებების რეზერვუარის მონიტორინგი ტყეების შემთხვევაში ხშირად არ ხორციელდება, რადგანაც ის დაბალ ფინანსურ ინტერესს წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, ის შეიძლება დიდ მარაგებს შეესაბამებოდეს, თუმცა IPCC-ის მითითებებში ამასთან დაკავშირებით ბევრი არ არის ნათქვამი.

უახლეს NIR-ში გამხმარი ხეების და ნარჩენების არანაირი შეფასება არ გაკეთებულა.

##### **#დაზუსტება 59: არის თუ არა მონაცემები მკვდარი ხის მოცულობის, მარაგის ან მარაგის ცვლილებების შესახებ?**

კონკრეტული ქვეყნის მონაცემები არ გამოვლენილა.

##### **#დაზუსტება 60: არის თუ არა მონაცემები ნარჩენების მოცულობის, მარაგის ან მარაგის ცვლილებების შესახებ?**

კონკრეტული ქვეყნის მონაცემები არ გამოვლენილა.

#### 4.3.5. ნიადაგის მონიტორინგი

ნიადაგები ნახშირბადის დიდ მარაგს მოიცავენ და, შესაბამისად, სათბურის გაზების ინვენტარიზაციისას მათი ასახვა გადამწყვეტ საკითხს წარმოადგენს. ნიადაგების მონიტორინგი რთულია, „დონე 1“-იც კი დატვირთულია მონაცემების თვალსაზრისით. ნიადაგისთვის შემოთავაზებული IPCC-ის ყველა მეთოდი ძალიან გაურკვეველია.

##### **#დაზუსტება 61: იძლევა თუ არა სისტემა ნიადაგის შესახებ მონაცემებზე წვდომის საშუალებას?**

ნიადაგების შესახებ ხელმისაწვდომი მონაცემების ოდენობა მწირია. გამოყენებული სიდიდეები მიღებულია საქართველოში ჩატარებული კვლევის საფუძველზე („ნახშირბადის მარაგები შიდა ქართლის რეგიონში“, გიზო გოგიჩაიშვილი, NIR-ი, გვ. 5-87).

სახნავ-სათესი მიწების შემთხვევაში, კეთდება მინერალურ ნიადაგების შეფასებები, კულტივირებულ ფართობებსა და ყოველწლიურად დროებით ნასვენ ერთწლიანი კულტურებისათვის გამოყოფილ მიწების შორის ბალანსის გათვალისწინებით. გამოყენებული მეთოდოლოგია ბოლომდე გასაგები არ არის, რადგან არ მოიძებნა ახსნა, თუ როგორ იცვლება FLU და FMG დროთა განმავლობაში თითოეული ტიპის მიწისათვის.

მდელოებისთვის, კეთდება მინერალური ნიადაგების რეჟიმის შეფასებები, ორი ქვეკატეგორიის გათვალისწინებით: მდელოები და სათიბი მიწები. საკვლევ პერიოდში ზოგიერთ მდელოზე დეგრადაციის დაშვების შემთხვევაში, FMG პარამეტრი იცვლება.

მას შემდეგ, რაც საქართველოში საძოვრების არსებითი დეგრადაცია აღინიშნება, აღმოსავლეთ საქართველოსთვის მკვეთრი დეგრადაციის შესაბამისი



მარაგის ცვლილების ფაქტორი 117 აღებულია ტერიტორიების მართვის რეჟიმისთვის (FMG), ხოლო საშუალო დეგრადაციისთვის გათვალისწინებული ფაქტორი - დასავლეთ საქართველოსთვის. NIR (5-87)

„ვინაიდან აღმოსავლეთ საქართველოში საძოვრების მნიშვნელოვანი დეგრადაცია შეინიშნება, აღმოსავლეთ საქართველოს 117 ტერიტორიების მართვის რეჟიმისათვის (FMG) აღებულ იქნა მარაგის ცვლილების კოეფიციენტი, რომელიც შეესაბამება მკვეთრ დეგრადაციას, ხოლო დასავლეთ საქართველოში - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს დეგრადაციის საშუალო დონეს“ (NIR-ი, გვ. 5-87).

#### **#დაზუსტება 62: ხელ მისაწვდომია თუ არა ნიადაგის რუკები?**

NIR-ში ნიადაგის რუკა არ არის.

მაგრამ NIR-ში (გვ. 5-87) მითითებულია, რომ „სახნავ-სათეს სავარგულებში გამოთვლებისთვის გამოყენებულ იქნა (ნიადაგებისთვის) საქართველოში ჩატარებული კვლევის („ნახშირბადის მარაგები შიდა ქართლის რეგიონში“, გიზო გოგიჩაიშვილი) საფუძველზე მიღებული ნიადაგში ნახშირბადის მარაგის ეტალონური მაჩვენებელი. კერძოდ, აღმოსავლეთ საქართველოში ჩატარებული კვლევის საფუძველზე, საქართველოში გავრცელებული ნიადაგის ტიპების მიხედვით (Cambisols and Calcic Kastanozems) დადგინდა, რომ 1 ჰექტარზე ნახშირბადის მარაგი არის 52ტ C (0-30 სმ. სიღრმეზე). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ IPCC-ის მეთოდოლოგიასთან მიბმული ნიადაგის კლასიფიკაციის შესაბამისი ცხრილის მიხედვით და საქართველოში გავრცელებული ნიადაგების ტიპების გათვალისწინებით, ნახშირბადის მარაგი ქვეყანაში შეადგენს 38 ტ / ჰა-ს.“

#### **#დაზუსტება 63: ხორციელდება თუ არა ნახშირბადის მარაგის მონიტორინგი მინერალურ ნიადაგებში?**

ნიადაგებზე მონიტორინგი არ გამოვლენილა.

ნიადაგების შესახებ ზოგიერთი კონკრეტული მონაცემი წარმოდგენილია გაუდაბნოების შესახებ ანგარიშში PRAIS 2018, მაგრამ ისინი ძალიან განსხვავდებიან საერთო განხილული დიაპაზონისგან და ამიტომ სიფრთხილით უნდა იყოს განხილული.

#### **#დაზუსტება 64: ხორციელდება თუ არა ორგანული ნიადაგების მონიტორინგი?**

NIR-ში ორგანულ ნიადაგებზე კვლევები ჩატარდა, თუმცა შეფასებები არ გაკეთებულა.

### **4.3.6. სასოფლო-სამეურნეო მიწის მონიტორინგი**

ბიომასის დიდი ცვლილებები შეიძლება მოხდეს სასოფლო-სამეურნეო მიწებზე, მრავალწლიანი კულტურების მიწებზე, მაგრამ ასევე ცოცხალი ღობეებისა და აგროტყის სისტემებში. ამ შემთხვევაში სასოფლო-სამეურნეო მიწების შეფასება აუცილებელია, რადგან მათ ნიადაგში ნახშირბადის დიდი

მარაგია, რომელიც შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის მიხედვით. მონაცემების ტიპიდან გამომდინარე, მათი მიღება შესაძლებელია გამოკითხვით ან პირდაპირი გაზომვით (მაგალითად, დისტანციური ზონდირებით).

#### **#დაზუსტება 65: განხილულია თუ არა მრავალწლიანი კულტურები?**

მრავალწლიანი კულტურები განხილულია და ხდება მათთვის ბიომასაზე ნახშირბადის ნაკადების გამოთვლები. გაანგარიშებები ბოლომდე გასაგები არაა, რადგან ზრდა და დანაკარგები ერთი და იმავე მოცულობით არ არის გათვლილი, რის გამოც ვლებულობთ გადაჭარბებულ ზრდას დანაკარგებთან შედარებით.

არ გამოვლენილა კონკრეტული მონაცემები მრავალწლოვანი კულტურების ბიომასასთან დაკავშირებით.

#### **#დაზუსტება 66: არსებობს მონაცემები სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების მეთოდების შესახებ (დამუშავება, ნარჩენების მართვა, სასუქის მართვა)?**

ნიადაგის დამუშავების, ნარჩენების მართვის, განაყოფიერების მართვის მონიტორინგი არ დაფიქსირებულა.

მკაფიოდ გამოვლენილი მხოლოდ მონაცემები ნასვენ კულტურების მიწების შესახებ.

#### **#დაზუსტება 67: ხელმისაწვდომია მონაცემები ცოცხალი ღობეებისა ან ტყისგან იზოლირებული ხეების შესახებ?**

ეროვნული მონიტორინგი არ გამოვლენილა.

### **4.3.7. ქარბტენიანი მიწების მონიტორინგი**

ქარბტენიან მიწებთან დაკავშირებულია CO<sub>2</sub>-ის, CH<sub>4</sub>-ის და N<sub>2</sub>O-ის სპეციფიკური ემისიები. ეს შეიძლება დაკავშირებული იყოს ტორფის მოპოვებასთან, დატბორილ უბნებთან ან დრენაჟთან.

#### **#დაზუსტება 68: არსებობს მონაცემები ქარბტენიანი მიწების შესახებ?**

NIR-ში ქარბტენიან მიწების ტერიტორიები ასახულია დეტალების მითითებით (ტბა, ქაობები და ა.შ.), მაგრამ მიჩნეულია რომ დროის განმავლობაში მათში ცვლილებები არ მომხდარა. ამ ადგილებისათვის გაანგარიშებები არ ხდება.

NIR (გვ.5-90): „სათანადო მონაცემების არარსებობის გამო ამ წყარო-კატეგორიის გაანგარიშება არ განხორციელებულა“.

### **4.3.8. ხანძრების მონიტორინგი**

ტყის ხანძრის შედეგად გაზების ემისიების შეფასებები გაკეთებულია დამწვარი ტერიტორიების მონიტორინგის საფუძველზე, დამწვარ ადგილებში არსებული ბიომასის შეფასებით.

### **#დაზუსტება 69: ხელმისაწვდომია თუ არა ინფორმაცია ტყის ხანძრების შესახებ?**

ტყის დამწვარი ფართობები მოცემულია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ეროვნული სატყეო სააგენტოს საქართველოს სტატისტიკურ წელიწდეულში.

(NIR გვ. 5-72): „ეროვნული სატყეო სააგენტოს და აჭარის სატყეო სააგენტოს მონაცემებზე დაყრდნობით, ინვენტარიზაციის პერიოდში საქართველოში ტყის ფართობებზე სხვადასხვა ინტენსივობით დაფიქსირდა ტყის ხანძრები. შედეგად, ცეცხლით მოცულ ფართობებზე ამ ტერიტორიებზე სხვადასხვა მოცულობის ბიომასა დაიწვა.“

# 5.

## მოკლე მიმოხილვა

„გაძლიერებული გამჭვირვალობის ჩარჩოს“ (ETF) დანერგვის შემდეგ, ყველა ქვეყნისაგან მოელოან ინვენტარიზაციის სისტემების ხარისხის გაუმჯობესებას. LULUCF-ის სექტორი სპეციფიკურია:

- ის ახდენს მნიშვნელოვანი რესურსების მობილიზებას;
- ხშირად ითვლება, რომ ის ძნელი სამართავია;
- მას აქვს მნიშვნელოვანი პოლიტიკური წონა ემისიებისა და შთანთქმის მოცულობის გამო, რომელთა ზოგადი შეფასება ხდება;
- მაღალია ამ ემისიებთან დაკავშირებული გაურკვეველობა.

ამ გაურკვეველობის გამო ამ სექტორს დიდი ყურადღება ექცევა.

ამ დოკუმენტში ანალიზი ფოკუსირებული იყო აქამდე გამოქვეყნებულ მასალებზე, მაგრამ ასევე გამოყენებული იყო ამჟამად სისტემაში იდენტიფიცირებულ სხვადასხვა აქტორებთან გასაუბრების შედეგებიც. ამ შეფასების მიმოხილვა წარმოდგენილია ძლიერი და სუსტი მხარეების შემდეგ ცხრილში:

**ცხრილი 1:** საქართველოში LULUCF-ის მონიტორინგის, ანგარიშგებისა და ვერიფიკაციის (MRV) სისტემის ძირითადი კომპონენტების ძლიერი და სუსტი მხარეები

	ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
ორგანიზაციული მანდატები	<ul style="list-style-type: none"> <li>• განახლებული ტყის რეგულაცია</li> <li>• სისტემა, რომელიც ეფუძნება იყო წინა ღონისძიებების განხორციელებისათვის</li> <li>• MEPA-ში შედის მრავალი უწყება</li> <li>• EIEC-ის გაფართოებული მანდატი BTR-ის წარმოების კუთხით</li> <li>• არსებული სისტემის საკმაოდ მკაფიო სურათი</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• მანდატებისთვის რეალური დოკუმენტები არ არსებობს</li> <li>• პროექტებზე დამოკიდებულება</li> <li>• შეზღუდული რესურსები</li> </ul>
ექსპერტიზა	<ul style="list-style-type: none"> <li>• რამდენიმე ექსპერტი დიდი ხნის განმავლობაში ჩართული იყო პროცესში</li> <li>• ექსპერტები მომზადებულნი არიან IPCC-ის მეთოდებში</li> <li>• არსებობს სოფლის მეურნეობის კვლევითი ცენტრები და შესაძლებელია მათი ჩართვა პროცესში</li> <li>• პროცესში ჩართულია სატყეო დეპარტამენტი</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ძალიან მცირე რაოდენობის ექსპერტთა იდენტიფიცირება მოხერხდა</li> <li>• საექსპერტო ცოდნის გადაცემა არ ხდება</li> <li>• არ არსებობს ტრენინგის პროცედურა</li> <li>• ინვენტარიზაციის ექსპერტები ძირითადად გარე კონსულტანტები არიან</li> </ul>
მონაცემთა ნაკადები	<ul style="list-style-type: none"> <li>• ხელმისაწვდომია საბაზო საცნობარო ინფორმაცია</li> <li>• მხოლოდ რამდენიმე პარამეტრია ქვეყნისათვის სპეციფიკური</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• მონაცემთა გამოყენების შესახებ ახსნა-განმარტებები ძალიან დეტალურია</li> <li>• ზოგიერთი მონაცემი არ არსებობს</li> <li>• შეზღუდული რესურსები</li> </ul>

	ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
მიწის მონიტორინგი	<ul style="list-style-type: none"> <li>ყველა მიწა შეფასებულია</li> <li>უზრუნველყოფილია გლობალური თანამიმდევრულობა</li> <li>მიწის შეფასება კლიმატის ტიპის მიხედვით</li> <li>არსებობს მიწის მონიტორინგის სააგენტო და შესაძლებელია მისი ჩართვა პროცესში</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>გამოყენებულია „დონე 1“ მიდგომა (ჯერ კიდევ ცოტა გაუგებარია)</li> <li>მწირია მონაცემები მიწათსარგებლობის შესახებ</li> <li>ზოგიერთი განსხვავება FRA 2020-სთან მიმართებაში ტყის ფართობთან დაკავშირებით მიწის გამოყენების ზოგი ცვლილებების შესახებ მონაცემები არ არის</li> </ul>
ტყის მონიტორინგი	<ul style="list-style-type: none"> <li>მიმდინარეობს NFI</li> <li>არსებობს ტყის ყოვლისმომცველი რეგულაცია</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>არ არის ხელმისაწვდომი რეალური NFI</li> <li>ზრდის აღრიცხვისას გამოყენებულია უნიკალური დროითი სპეციფიკაცია</li> <li>გაურკვეველი სურათი ხე-ტყის უკანონო ჭრასთან დაკავშირებით</li> <li>ბიომასის გაფართოების ფაქტორების საკითხებში IPCC-ზე დამოკიდებულება</li> </ul>
ხე-ტყის მონიტორინგი	<ul style="list-style-type: none"> <li>ტყის კვლევა ითვალისწინებს ინფორმაციის შეგროვებას დამზადებული ხე-ტყის შესახებ</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>არ არის კვლევა ხე-ტყის დამზადებაზე</li> <li>გაურკვეველი სურათი ხე-ტყის უკანონო ჭრის კუთხით</li> </ul>
მკვდარი ორგანული ნივთიერებების მონიტორინგი	<ul style="list-style-type: none"> <li>NFI მიმდინარეობს</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>მონიტორინგი არ ხორციელდება</li> </ul>
ნიადაგის მონიტორინგი	<ul style="list-style-type: none"> <li>არსებობს სოფლის მეურნეობის კვლევითი ცენტრები და შეიძლება ჩართული იყონ პროცესში</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>დიდი განსხვავებები ნიადაგებზე PRAIS-ის ანგარიშებთან შედარებით</li> <li>არ არსებობს ნიადაგის რუკები</li> <li>ორგანული ნიადაგების შეფასება არ ხორციელდება</li> </ul>
სასოფლო-სამეურნეო მიწის მონიტორინგი	<ul style="list-style-type: none"> <li>არსებობს სოფლის მეურნეობის კვლევითი ცენტრები და შეიძლება ჩართული იყონ პროცესში</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>მრავალწლიანი ნარგავების შეფასება გაურკვეველია</li> <li>გაურკვეველია IPCC-ის „დონე 1-ის“ გამოყენება სახნავ-სათესი მიწებისა და მდელოების ნიადაგებზე</li> <li>არ ხორციელდება სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის მონიტორინგი</li> <li>არ ხორციელდება ტყისგან იზოლირებულად არსებული ხეების მონიტორინგი</li> </ul>
ჭარბტენიანი მიწების მონიტორინგი	<ul style="list-style-type: none"> <li>არსებობს დაცული ტერიტორიების სააგენტო და შესაძლებელია მისი ჩართვა პროცესში</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>მონიტორინგი არ ხორციელდება</li> </ul>
ხანძრის მონიტორინგი	<ul style="list-style-type: none"> <li>დამწვარი ტერიტორიები მოცემულია ეროვნული სტატისტიკაში</li> </ul>	

	ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
კოორდინაცია, სისტემები და ინსტრუმენტები	<ul style="list-style-type: none"> <li>• MEPA კოორდინაციას უწევს დაინტერესებულ მხარეთა უმეტესობას</li> <li>• MEPA და EIEC-ი კარგად მუშაობენ ერთად</li> <li>• ბოლო გამოცემები არსებობს და შეესაბამება სტანდარტებს</li> <li>• NIR-ი კარგად არის ორგანიზებული</li> <li>• უკანასკნელი შეფასება (QA) შესაბამისი რეკომენდაციებით</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• Excel-ის ცხრილების და IPCC ინსტრუმენტის შერევა ინვენტარიზაციისათვის</li> <li>• რთული კოორდინაცია ანგარიშებისათვის</li> <li>• წინა ანგარიშების გაუგებარი არქივირება</li> <li>• მწირი რესურსი შემდეგი ღონისძიებებისათვის</li> </ul>
დაინტერესებული მხარეების ჩართულობა		<ul style="list-style-type: none"> <li>• პროექტზე დამოკიდებულება</li> </ul>
ინსტიტუციური მოწყობის სტრუქტურირება	<ul style="list-style-type: none"> <li>• არსებობს გარკვეული ურთიერთგაგების მემორანდუმი</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• მკაფიოდ განსაზღვრული პროცედურების რაოდენობა მცირეა</li> </ul>

# დანართი პარიზის შეთანხმებაზე

## ზოგადი წესები

ფორმების, პროცედურების და სახელმძღვანელო პრინციპების (MPG) თავი II განსაზღვრავს ანთროპოგენური ემისიების ეროვნული ინვენტარიზაციის ანგარიშის საერთო ელემენტებს სათბურის გაზების წყაროების და შთანთქმის მიხედვით.

### A. განმარტებები (პუნქტი 17)

გამოყენებული სათბურის გაზების ინვენტარიზაციის პრინციპების განმარტებები უნდა შეესაბამებოდეს განმარტებებს, რომლებიც მოცემულია 2006 წლის IPCC-ს სახელმძღვანელოში, ტომი 1, ნაწილი 1.4

### A. ეროვნული გარემოებები და ინსტიტუციური მოწყობა (პუნქტები 18 - 19)

მხარეებმა უნდა განახორციელონ და შეინარჩუნონ ეროვნული ინვენტარიზაციის ღონისძიებები, მათ შორის ინსტიტუციონალური, სამართლებრივი და პროცედურული ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს მათი ეროვნული ინვენტარიზაციის ანგარიშების მუდმივ შეფასებას, შედგენას და დროულ დამუშავებასა და წარდგენას. ასეთი შეთანხმებები განსხვავდება მხარეების მიხედვით მათი ეროვნული გარემოებებისა და პრეფერენციების მიხედვით და შეიცვლება დროთა განმავლობაში.

### A. მეთოდები (პუნქტები 20 - 36)

სახელმძღვანელო პრინციპები: ეროვნული ინვენტარიზაციის ანგარიშის მომზადებისას ყველა მხარე გამოიყენებს IPCC-ის 2006 წლის სახელმძღვანელო პრინციპებს, და CMA-ს მიერ შეთანხმებული ამ IPCC სახელმძღვანელოების ნებისმიერი შემდგომ ვერსიას ან განახლებას. გარდა ამისა, თითოეულ მხარეს მოუწოდებენ გამოიყენოს დანართი „ჭარბტენიანი მიწების შესახებ“. ამ თავში ტერმინი „IPCC-ის სახელმძღვანელო მითითებები“ გულისხმობს ერთად 2006 წლის IPCC-ის სახელმძღვანელოს და დანართს ჭარბტენიანი მიწების შესახებ.

ეროვნულ დონეზე შესაბამისი მეთოდოლოგიების გამოყენება: MPG-ებში ასევე გათვალისწინებულია, რომ მხარეებმა უნდა გამოიყენონ ეროვნულად შესაბამისი მეთოდოლოგიები, თუ ისინი უკეთ ასახავს მის ადგილობრივ გარემოებებს და შეესაბამება IPCC-ის სახელმძღვანელო პრინციპებს. ასეთ შემთხვევებში მხარემ გამჭვირვალედ უნდა ახსნას არჩეული ეროვნული მეთოდები, მონაცემები და/ან პარამეტრები.

დონეები: თითოეულმა მხარემ ყველანაირი ძალისხმევა უნდა გამოიყენოს საკვანძო კატეგორიებისთვის რეკომენდებული მეთოდის (დონის დონე) გამოსაყენებლად. მხარემ შეიძლება ვერ გამოიყენოს უმაღლესი დონის მეთოდი კონკრეტული საკვანძო კატეგორიისთვის რესურსების ნაკლებობის გამო. ასეთ შემთხვევებში, მხარემ შეიძლება გამოიყენოს პირველი დონის მიდგომა და ნათლად უნდა დააფიქსიროს, თუ რატომ არ იყო გამოყენებული IPCC-ის სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისი გადაწყვეტილების ხის შესაბამისი მეთოდოლოგია. მხარემ სამომავლო გაუმჯობესებისთვის პრიორიტეტი უნდა მიაჩქოს იმ ნებისმიერ ძირითად კატეგორიას, რომლისთვისაც ვერ ხერხდება IPCC-ის სახელმძღვანელოში შემუშავებული კარგი პრაქტიკის მეთოდის გამოყენება.

ქვეყნისათვის სპეციფიკური ემისიის ფაქტორები და აქტივობის მონაცემები: მხარეებს მოუწოდებენ, სადაც ეს შესაძლებელია, გამოიყენონ კონკრეტული ქვეყნის და რეგიონისათვის სპეციფიკური ემისიის ფაქტორები და აქტივობის მონაცემები ან გააკეთონ შეთავაზებები ამგვარი ემისიის ფაქტორებისა და აქტივობის მონაცემების განვითარების გეგმების შემუშავების კუთხით IPCC-ის სახელმძღვანელოს შესაბამისად.

მთავარი კატეგორიების ანალიზი: თითოეულმა მხარემ უნდა განსაზღვროს ძირითადი კატეგორიები, IPCC-ს მიდგომა 1-ის გამოყენებით, რომლის მიხედვითაც მთავარი კატეგორიების იდენტიფიცირება ხდება წინასწარ განსაზღვრული კუმულაციური ემისიების ზღვრის გამოყენებით მისი სათბურის გაზების ინვენტარიზაციის საწყისი წლისთვის და უკანასკნელი საანგარიშო წლისათვის, LULUCF კატეგორიებით და მათ გარეშე ორივე დონისთვის და ტენდენციების შეფასებით. განვითარებადი ქვეყნების წარმომადგენელ მხარეებს, რომლებსაც მათი შესაძლებლობების გათვალისწინებით შეღავათი სჭირდებათ, ეძლევათ ასეთი შეღავათი, რაც იმაში გამოიხატება, რომ მათ შეუძლიათ ძირითადი კატეგორიები განსაზღვრონ უფრო დაბალი ქვედა ზღვრული მნიშვნელობით, არანაკლებ 85 პროცენტისა, IPCC-ის სახელმძღვანელოთი განსაზღვრული 95 პროცენტის ბარიერის საანაცვლოდ. ამ შეღავათის მიზანია, მისცეს საშუალება იმ მხარეებს რომლებიც მას იყენებენ, ყურადღება გაამახვილონ უფრო მცირერიცხოვანი კატეგორიების გაუმჯობესებაზე და მოახდინონ რესურსების პრიორიტეტების მიხედვით გადაანწილება.

დროის სერიების თანამიმდევრულობა და გადაანგარიშებები: ანგარიშების ყოველი წლისათვის უნდა თანამიმდევრულად გამოიყენებოდეს ერთი და იგივე მეთოდები და მიდგომა ძირითადი აქტივობის მონაცემების და ემისიის ფაქტორების მიმართ. იმ შემთხვევებში, როდესაც აქტივობის მონაცემების, ემისიის ფაქტორების ან სხვა პარამეტრების ნაკლებობის გამო არ არსებობს ემისიის მნიშვნელობები, გამოყენებული უნდა იყოს სუროგატული მონაცემები, ექსტრაპოლაცია, ინტერპოლაცია და სხვა მეთოდები, რომლებიც შეესაბამება IPCC-ის სახელმძღვანელოში მოცემულ შერწყმის მეთოდებს მონაცემთა ხარვეზების შესავსებად და თანამიმდევრული დროის სერიების უზრუნველსაყოფად. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს რაიმე ცვლილებების მეთოდებსა და/ან დაშვებებში, მნიშვნელოვანია გაკეთდეს სრული დროის სერიების ხელახალი გადაანგარიშება იმის უზრუნველსაყოფად, რომ ემისიის ტენდენციების ცვლილებების რეალურად მეთოდების ან დროის სერიებში გაკეთებული ვარაუდების ცვლილების შედეგებს არ წარმოადგენდნენ, IPCC-ის სახელმძღვანელოს შესაბამისად.

გაურკვევლობის შეფასება: მხარეებმა რაოდენობრივად უნდა შეაფასონ და ხარისხობრივად განიხილონ გაურკვევლობა ემისიებისა და შთანთქმის შეფასებებში ყველა წყაროსა და შთანთქმის კატეგორიისთვის, ინვენტარიზაციის საბოლოო შედეგების ჩათვლით, მინიმუმ ინვენტარიზაციის დროის სერიების საწყისი წლისა და უახლესი საანგარიშო წლისთვის. ასევე აუცილებელია ემისიებისა და შთანთქმის შეფასებების ტენდენციებში გაურკვევლობის შეფასება ყველა წყაროსა და შთანთქმის კატეგორიისთვის, საბოლოო შედეგების ჩათვლით, ინვენტარიზაციის დროის სერიების საწყისი წლისა და უახლესი საანგარიშო წლისთვის. მინიმუმ „დონე 1“ მიდგომის გამოყენებით, რომელიც მოცემულია 2006 წლის IPCC-ს სახელმძღვანელოში. განვითარებადი ქვეყნების წარმომადგენელ მხარეებს, რომლებსაც მათი შესაძლებლობების გათვალისწინებით შეღავათი ესაჭიროებათ, ეძლევათ ასეთი შეღავათი, რაც იმაში გამოიხატება, რომ მათ უნდა უზრუნველყონ, მინიმუმ, გაურკვევლობების ხარისხობრივი განხილვა ძირითადი კატეგორიებისთვის იმ შემთხვევებში, როდესაც რაოდენობრივი საანგარიშო მონაცემები მიუწვდომელია გაურკვევლობების რაოდენობრივად შესაფასებლად. ამავდროულად, ამ მხარეებს მოუწოდებენ წარმოადგინონ გაურკვევლობის რაოდენობრივი შეფასება სათბურის გაზების ინვენტარიზაციის ყველა წყაროსა და შთანთქმის კატეგორიისთვის.

სისრულის შეფასება: თუ ეროვნული ინვენტარიზაციის ანგარიშში არ არის განხილული ზოგიერთი წყარო და შთანთქმა (კატეგორიები, რეზერვუარები და გაზები), რომელთა შეფასების მეთოდები შედის IPCC-ის სახელმძღვანელოში, მხარემ მკაფიოდ უნდა მიუთითოს ეს წყაროები და შთანთქმები და განმარტოს მათი გამორიცხვის მიზეზები. გამორიცხვა. ზოგადი საანგარიშო ცხრილების შევსებისას, სიმბოლური აღნიშვნები (იხ. უჯრედი 1) უნდა იყოს გამოყენებული იქ, სადაც არ არის რიცხობრივი მონაცემები, და უნდა იყოს მითითებული მიზეზები, თუ რატომ არ მოხდა ანგარიშგება წყაროებიდან ემისიებისა და შთანთქმის, და შესაბამისი დაკავშირებული მონაცემების კონკრეტული სექტორებისთვის, კატეგორიებისა და ქვეკატეგორიებისათვის. მას შემდეგ, რაც ემისიები ან შთანთქმა შეფასებული იქნება კონკრეტული კატეგორიისთვის, ეს უნდა იყოს მოხსენიებული შემდგომ შეტყობინებებში/ანგარიშებში თუ ასეთები კიდევ იგეგმება.



ხარისხის უზრუნველყოფა/ხარისხის კონტროლი (QA/QC): ყველა მხარემ უნდა შეიმუშაოს ინვენტარიზაციის QA/QC-ის გეგმა IPCC-ის სახელმძღვანელოს შესაბამისად, რომელიც უნდა შეიცავდეს ინფორმაციას ინვენტარიზაციის ფარგლებში QA/QC-ზე პასუხისმგებელი უწყების შესახებ. მათ უნდა განახორციელონ და წარმოადგინონ ინფორმაცია ზოგადი ინვენტარიზაციის ხარისხის კონტროლის პროცედურების შესახებ მათი QA/QC გეგმისა და IPCC-ის სახელმძღვანელოს შესაბამისად. თუმცა, განვითარებადი ქვეყნების წარმომადგენელ მხარეებს, რომლებსაც მათი შესაძლებლობების გათვალისწინებით შეღავათი ესაჭიროებათ, ეძლევათ ასეთი შეღავათი, რაც იმაში გამოიხატება, რომ მათ შეუძლიათ შეიმუშაონ ინვენტარიზაციის ხარისხის უზრუნველყოფის/ხარისხის კონტროლის (QA/QC) გეგმა IPCC-ის სახელმძღვანელოს შესაბამისად და განახორციელონ და მიანოდონ ინფორმაცია ზოგადი ინვენტარიზაციის QC პროცედურების შესახებ საკუთარი ხარისხის QA/QC გეგმისა და IPCC-ის სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად.

## A. მეტრიკა (პუნქტი 37)

მეტრიკა: გლობალური დათბობის პოტენციალის მნიშვნელობა, რომელიც გამოყენებული იქნება სათბურის გაზების ემისიის და შთანთქმების CO<sub>2</sub> ეკვივალენტში გამოსახატავად დაეფუძნება სათბურის გაზების ემისიის შედეგებს 100 წლიან პერსპექტივაში IPCC-ის მეხუთე შეფასების ანგარიშიდან და გლობალური დათბობის პოტენციური შედეგებს 100 წლიან პერსპექტივაში IPCC-ის მომდევნო შეფასების ანგარიშიდან, როგორც ეს შეთანხმებულია CMA-სთან. გარდა ამისა, სხვა მეტრიკა, როგორცაა გლობალური ტემპერატურული პოტენციალი, შეიძლება გამოყენებულ იქნას დამატებითი ინფორმაციაზე ანგარიშებისათვის მთლიანი ემისიებისა და სათბურის გაზების შთანთქმაზე, რომელიც CO<sub>2</sub> ეკვივალენტში იქნება გამოხატული. ასეთ შემთხვევებში, მხარემ ეროვნული ინვენტარიზაციის დოკუმენტში, გარდა სათბურის გაზების ემისიის და შთანთქმის შეფასებებისა, უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია გამოყენებული მეტრიკის მნიშვნელობებისა და IPCC-ის შეფასების ანგარიშის შესახებ, რომელსაც ისინი წყაროდ იყენებდნენ.

## A. საანგარიშო ინფორმაცია: სექტორები და გაზები (პუნქტები 38 - 58)

მეთოდებთან დაკავშირებული ინფორმაციის მხრივ მხარეებმა უნდა უზრუნველყონ შემდეგი ინფორმაცია:

- ინფორმაცია მეთოდებისა და სექტორთაშორისი ელემენტების შესახებ
- სექტორები და გაზები
- დროის სერიები

## შეღავათიანი პირობები

სპეციალური პირობები, რომლებიც უზრუნველყოფენ შეღავათებს იმ განვითარებადი ქვეყნების წარმომადგენელი მხარეებისათვის, რომლებსაც ეროვნული ინვენტარიზაციის ანგარიშისათვის ანთროპოგენური ემისიების და სათბურის გაზების შთანთქმის შესახებ ანგარიშების კუთხით მათი შესაძლებლობების გათვალისწინებით შეღავათების ესაჭიროებათ, ქვემოთაა წარმოდგენილი:

**ცხრილი 5.** სპეციალური შეჯამებითი პირობების მიმოხილვა იმ განვითარებადი ქვეყნების წარმომადგენელი მხარეებისათვის, რომლებსაც ისინი ესაჭიროება ეროვნული ინვენტარიზაციის ანგარიშთან მიმართებაში მათი შესაძლებლობების გათვალისწინებით (წყარო: 2020-1 UNFCCC)

წყარო MPG-ში (18 დეკემბრის დანართი/ CMA.1)	MPG-ში მოცემული პირობები	შედავითიანი პირობები იმ განვითარებადი ქვეყნების წარმომადგენელი მხარეებისათვის, რომლებსაც ისინი მათი შესაძლებლობების გათვალისწინებით ესაჭიროებათ
პუნქტი 25 ძირითადი კატეგორიების ანალიზი	მხარეებმა უნდა განახორციელონ ძირითადი კატეგორიების ანალიზი IPCC-ის მითითებების შესაბამისად (ანუ გამოიყენონ IPCC სახელმძღვანელოში განსაზღვრული 95 პროცენტის ბარიერი).	ძირითადი კატეგორიების იდენტიფიცირება არა ნაკლებ 85 პროცენტის ბარიერის გამოყენებით IPCC-ის სახელმძღვანელოში განსაზღვრული 95 პროცენტის ბარიერის ნაცვლად.
პუნქტი 29 გაურკვევლობის შეფასება	მხარეებმა რაოდენობრივად უნდა შეაფასონ და ხარისხობრივად განიხილონ ემისიის და შთანთქმის ყველა კატეგორიის შეფასებების გაურკვევლობები, ინვენტარიზაციების საბოლოო ჯამური შედეგების ჩათვლით, ინვენტარიზაციის დროის სერიის სულ მცირე სამი და უახლესი საანგარიშო წლის განმავლობაში, და ასევე უნდა შეაფასონ ტენდენციებში გაურკვევლობები იმავე კატეგორიებისთვის/ინვენტარიზაციის ჯამებისთვის მთელი დროის სერიებისთვის.	უზრუნველყონ, მინიმუმ, გაურკვევლობების ხარისხობრივი განხილვა ძირითადი კატეგორიებისთვის IPCC სახელმძღვანელოს გამოყენებით, იმ შემთხვევებში, როდესაც რაოდენობრივი საანგარიშო მონაცემები მიუწვდომელია გაურკვევლობების რაოდენობრივად შესაფასებლად. ამავდროულად, ამ მხარეებს მოუწოდებენ წარმოადგინონ გაურკვევლობის რაოდენობრივი შეფასება სათბურის გაზების ინვენტარიზაციის ყველა წყაროსა და შთანთქმის კატეგორიისთვის.
პუნქტი 32 პირობითი აღნიშვნა „NE“-ს გამოყენება	კატეგორია უმნიშვნელოდ ჩაითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ემისიების სავარაუდო დონე არის სათბურის გაზების მთლიანი ეროვნული ემისიების (LULUCF-ის გამოკლებით) 0.05 პროცენტზე ან 500 კტ CO2 ეკვ-ზე ნაკლები (ამ ორი მაჩვენებლიდან რომელიც უფრო დაბალი აღმოჩნდება). უმნიშვნელოდ მიჩნეული კატეგორიებიდან ემისიების საერთო ეროვნული ჯამი ყველა გაზისთვის უნდა დარჩეს სათბურის გაზების მთლიანი ეროვნული ემისიების (LULUCF-ის გამოკლებით) 0.1 პროცენტზე ქვემოთ.	ემისიები უმნიშვნელოდ ჩაითვლება, თუ ემისიების სავარაუდო დონე არის სათბურის გაზების მთლიანი ეროვნული ემისიების (LULUCF-ის გამოკლებით) 0.1 პროცენტზე ან 1000 კტ CO2 ეკვ-ზე ნაკლები (ამ ორი მაჩვენებლიდან რომელიც უფრო დაბალი აღმოჩნდება). ამ შემთხვევაში, უმნიშვნელოდ მიჩნეული კატეგორიებიდან ყველა გაზისთვის სავარაუდო ემისიების საერთო ეროვნული ჯამი უნდა დარჩეს სათბურის გაზების მთლიანი ეროვნული ემისიების (LULUCF-ის გამოკლებით) 0,2 პროცენტზე ქვემოთ.
პუნქტი 34 (QA/QC)	მხარეებმა უნდა შეიმუშაონ ინვენტარიზაციის QA/QC-ის გეგმა IPCC-ის სახელმძღვანელოს შესაბამისად, რომელიც უნდა შეიცავდეს ინფორმაციას ინვენტარიზაციის ფარგლებში QA/QC-ზე პასუხისმგებელი უწყების შესახებ.	მხარეებს მოუწოდებენ, შეიმუშაონ ინვენტარიზაციის QA/QC-ის გეგმა IPCC-ის სახელმძღვანელოს შესაბამისად, რომელიც უნდა შეიცავდეს ინფორმაციას ინვენტარიზაციის ფარგლებში QA/QC-ზე პასუხისმგებელი უწყების შესახებ.

პუნქტი 35 (QA/QC)	მხარეებმა უნდა განახორციელონ და წარმოადგინონ ინფორმაცია ზოგადი ინვენტარიზაციის ხარისხის კონტროლის პროცედურების შესახებ მათი QA/QC გეგმისა და IPCC-ის სახელმძღვანელოს შესაბამისად.	მხარეებს მოუწოდებენ, განახორციელონ და წარმოადგინონ ინფორმაცია ზოგადი ინვენტარიზაციის ხარისხის კონტროლის პროცედურების შესახებ მათი QA/QC გეგმისა და IPCC-ის სახელმძღვანელოს შესაბამისად.
პუნქტი 48 გაზები	მხარეებმა უნდა წარმოადგინონ ანგარიში შვიდ გაზზე: CO <sub>2</sub> , CH <sub>4</sub> , N <sub>2</sub> O, HFC, PFC, SF <sub>6</sub> და NF <sub>3</sub> .	მხარეებმა უნდა წარმოადგინონ ანგარიში სულ ცოტა სამ გაზზე (CO <sub>2</sub> , CH <sub>4</sub> და N <sub>2</sub> O), და ასევე ნებისმიერზე დამატებითი ოთხი გაზიდან (HFCs, PFCs, SF <sub>6</sub> და NF <sub>3</sub> ), რომლებიც მოცემულია მხარის NDC-ში პარიზის შეთანხმების მე-4 მუხლის ფარგლებში, ან რომლებსაც ფარავს პარიზის შეთანხმების მე-6 მუხლით გათვალისწინებული საქმიანობა ან რომლებზეც ადრე ხდებოდა ანგარიშგება.
პუნქტი 57 დროის სერიები	მხარეებმა უნდა წარმოადგინონ თანმიმდევრული წლიური დროის სერიების ანგარიშები, დაწყებული 1990 წლიდან.	მხარეებს შეუძლიათ წარმოადგინონ მონაცემები, რომლებიც მოიცავს, მინიმუმ, მათი NDC-ის საანგარიშო წელს/პერიოდს პარიზის შეთანხმების მე-4 მუხლის ფარგლებში და, გარდა ამისა, თანმიმდევრული წლიური დროის სერიების ანგარიშები დაწყებული მინიმუმ 2020 წლიდან.
პუნქტი 58 საანგარიშო წელი	ბოლო საანგარიშო წლიდან ეროვნული ინვენტარიზაციის ანგარიშის წარდგენამდე გასული პერიოდი ორ წელს არ უნდა აჭარბებდეს.	ბოლო საანგარიშო წლიდან ეროვნული ინვენტარიზაციის ანგარიშის წარდგენამდე გასული პერიოდი სამ წელს არ უნდა აჭარბებდეს.







© Citepa 2022  
[www.citepa.org](http://www.citepa.org)  
[infos@citepa.org](mailto:infos@citepa.org)  
42, rue de Paradis  
75010 PARIS